სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

ანგარიში

2025 წელი

შესავალი .....2 გვ.

ქართული ღვინის პოპულარიზაცია .....3 გვ.

ექსპორტი ..... 29 გვ.

რთველი ..... 30 გვ.

ღვინის ხარისხის კონტროლი .....31 გვ.

ვენახების კადასტრი .....33 გვ.

ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია .....34 გვ

ადგილწარმოშობის სისტემის განვითარება .....37 გვ.

სხვა .....37 გვ.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

შესავალი

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ძირითადი საქმიანობა მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობაა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ღვინის ეროვნული სააგენტო შემდეგი მიმართულებებით მუშაობს:

- მევენახეობის განვითარება;
- ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა;
- რთველის პროცესის ხელშეწყობა;
- ქართული ვაზის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია;
- ქართული ღვინის ადგილწარმოშობების სისტემის განვითარება;
- ღვინის ლაბორატორიული კვლევა.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,
www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

ქართული ღვინის პოპულარიზაცია

2025 წელს, „ქართული ღვინის პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, ქართული ღვინო მსოფლიოს 21 ქვეყანაში წარმოდგენილი იყო 58 გამოფენა-ფესტივალზე და 322 დეგუსტაციაზე.
ქვეყნების ჩამონათვალი ასე გამოიყურება - აშშ, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ჩინეთი, იაპონია, სლოვენია, დიდი ბრიტანეთი, დანია, სამხრეთ კორეა, ნორვეგია, პოლონეთი, ავსტრია, ბელგია, ნიდერლანდები, ფინეთი, კანადა, ბრაზილია, სომხეთი, უზბეკეთი.
„ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში საქართველოში გაიმართა 32 ღონისძიება, მათ შორის, 30 გამოფენა ფესტივალი.
უცხოელი ღვინის პროფესიონალებისა და მედიისთვის საქართველოში 18 ღვინის ტური გაიმართა. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილოება 250-მდე ღვინის მწარმოებელმა კომპანიამ და მარანმა მიიღო.

მარკეტინგული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

ქართული ღვინის წარდგენა იაპონიაში

24 იანვარს, ღვინის ეროვნული სააგენტოს და იაპონური საერთაშორისო კონკურსის „SAKURA Japan Women's Wine Awards“ მხარდაჭერით, ქალაქ ტოკიოში ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა. ღონისძიება ორ ნაწილს მოიცავდა: ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციას და ქართული ღვინისა და იაპონური სამზარეულოს შეხამების მასტერკლასს. ქართული ღვინის დეგუსტაციას ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე ანა გოდაბრელიძე, ხოლო პრეზენტაციას სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი თამთა ყველაიძე უძღვებოდნენ. ამასთან ერთად, ანა გოდაბრელიძე და თამთა ყველაიძე კონკურსის „SAKURA Japan Women's Wine Awards“ ჟიურის წევრებად იყვნენ მიწვეულები, რომელიც ტოკიოში გაიმართა.

Madrid Fusión 2025

27-29 იანვარს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის კომპანიები ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გასტრო კონგრესში Madrid Fusión 2025 მონაწილეობდნენ. ქართული ღვინის მწარმოებელმა ოთხმა კომპანიამ სხვადასხვა დასახელების ღვინოები წარმოადგინა. ღონისძიების ფარგლებში ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარიც გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

წარმომადგენელმა ირაკლი ჩოლობარგიამ ღვინის პროფესიონალებს ქვევრის და კლასიკური სტილის სხვადასხვა ღვინო გააცნო. Madrid Fusión 2025-ზე ქართული სტენდი საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით მოეწყო, სადაც, სამი დღის განმავლობაში, ქართული ღვინო ქართულ გასტრონომიასთან ერთად იყო წარმოდგენილი.

„RAW Wine Paris 2025"

9-10 თებერვალს, პარიზში, ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „RAW Wine Paris 2025", ღვინის ეროვნული სააგენტოს და საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქვევრის ღვინის მწარმოებელი 9 მარანი მონაწილეობდა. „RAW Wine" ერთ-ერთი გამორჩეული საერთაშორისო გამოფენაა, სადაც მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან. გამოფენის ორგანიზატორია ცნობილი ღვინის მაგისტრი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონი. გამოფენაზე 15 ქვეყნის 100-მდე ბუნებრივი ღვინის მწარმოებელი იყო წარმოდგენილი, მათ შორის, მეღვინეობის ტრადიციებით სახელგანთქმული ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და სხვა.

„Wine Paris 2025"

10-12 თებერვალს, პარიზში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მასშტაბურ გამოფენაში „Wine Paris", ღვინის ეროვნული სააგენტოს და საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის 13 კომპანია მონაწილეობდა. გამოფენის პარალელურად, პარიზის გასტრონომიისა და სტუმართმასპინძლობის მენეჯმენტის სკოლაში (Le Cordon Bleu) ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა ირაკლი ჩოლობარგიამ ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია აღნიშნული სკოლის ენოლოგიისა და ღვინის მენეჯმენტის კურსის მსმენელებისთვის გამართა. აღნიშნული კურსის მსმენელები არიან მომავალი ღვინის ექსპერტები, სომელიეები, ექსპორტ-იმპორტის სპეციალისტები, ბაიერები, ღვინის მწერლები; შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათთვის ქართული ღვინის გაცნობა.

„SLOW WINE FAIR 2025"

23-25 თებერვალს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, იტალიის ქალაქ ბოლონიაში გამართულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „SLOW WINE FAIR" ქვევრის ღვინის მწარმოებელი ცხრა კომპანია მონაწილეობდა. „SLOW WINE FAIR" უკვე მეოთხედ ჩატარდა, ქართული ღვინის მარნები მასში პირველად მონაწილეობდნენ. სულ გამოფენაში მსოფლიოს 29 ქვეყნის 1000-მდე ღვინის მწარმოებელი მონაწილეობდა. იტალიურ ღვინოებთან ერთად, წარმოდგენილი იყო ღვინოები საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან. „SLOW WINE FAIR"-ს ტრადიციულად, ათასობით სტუმარი, მათ შორის, ღვინის პროფესიონალები და სავაჭრო სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ, რაც მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის პოპულარიზაციის, ღვინის მწარმოებლების მიერ პოტენციური იმპორტიორების მოძიებისა და ექსპორტის ზრდისთვის.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

„ProWein Dusseldorf 2025“

9-11 მარტს, გერმანიის ქალაქ დუსელდორფში, გამართულ, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „ProWein Dusseldorf“ ქართული ღვინის მწარმოებელი 24 კომპანია მონაწილეობდა. მიმდინარე წელს „ProWein Dusseldorf“-ში საქართველოს მონაწილეობის საიუბილეო 25 წლისთავი აღინიშნა. გამოფენის ფარგლებში, პრესტიჟული გერმანული მედია ჰოლდინგის „Meininger“ კონფერენციაზე ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ მოეწყო ქართული ღვინის ბრენდირებული სტენდი, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 24 კომპანიის 300-მდე ბოთლი ღვინო, გაიმართა პროფესიული დეგუსტაცია, რომელსაც ქართული ღვინის ექსპერტი ინგე მაინცერი (Inge Mainzer) უძღვებოდა. „ProWein Dusseldorf“-ზე ქართული ღვინის კიდევ სამ დეგუსტაციას ცნობილი გერმანელი ინფლუესერი და სომელიე ტონი ასკიტისი (Toni Askitis) უძღვებოდა.

„Foodex Japan 2025”

11-14 მარტს, ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი ტოკიოში გამართულ კვების პროდუქტებისა და სასმელების საერთაშორისო გამოფენის „Foodex Japan 2025” ფარგლებში ჩატარდა. ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი ირაკლი ჩოლობარგია უძღვებოდა. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი სხვადასხვა კომპანიის როგორც ქვევრის, ისე კლასიკური მეთოდით დამზადებული ღვინოები. დეგუსტაციის ფარგლებში გამართული პრეზენტაცია მოიცავდა ქართული მეღვინეობის კულტურის განვითარების ისტორიას და ღვინის ინდუსტრიის თანამედროვე მდგომარეობას. ღონისძიებას ღვინის იმპორტიორები, საცალო და საბითუმო გაყიდვების აგენტები და ღვინის პროფესიონალები დაესწრნენ.

ქართული ღვინის დეგუსტაცია ვარშავაში

15 მარტს, ქართული ღვინის დეგუსტაცია ვარშავაში გაიმართა, რომელსაც პროფესიონალი სომელიე, პოლონეთის სომელიეთა ასოციაციის წევრი, ვოიჩეხ სტარჟიცკი უძღვებოდა. ღვინის ეროვნული სააგენტოს, სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „People PR” და პოლონური ღვინის ჟურნალის „Trybuszon” მხარდაჭერით გამართულ დეგუსტაცია-სემინარზე წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 10-მდე კომპანიის როგორც ქვევრის, ისე კლასიკური მეთოდით დამზადებული ღვინოები. ქართული ღვინის დეგუსტაციას სომელიეები, HoReCa სექტორის წარმომადგენლები და იმპორტიორები დაესწრნენ. დეგუსტაცია პოლონეთის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გამოფენის „Warsaw Wine Expo” (11-13 მარტი) ფარგლებში გაიმართა.

,,Fine Wine Hotel Exhibition”

21-24 მარტს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 10 კომპანია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოფენაში ,,Fine Wine Hotel Exhibition” მონაწილეობდა. გამოფენის ფარგლებში ასევე გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი, რომელსაც ღვინის

მაგისტრი ფონგი ვოკერი უძღვებოდა. ღონისძიებას 100-მდე სტუმარი, მათ შორის, ღვინის პროფესიონალები, იმპორტიორები, ჰორეკა სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ. გამოფენაში ქართული კომპანიების მონაწილეობა, ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლებას, ახალი პარტნიორების მოძიებასა და საექსპორტო პოზიციების გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

„The China Food & Drinks Fair“

25-27 მარტს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ჩენგდუში ღვინისა და საკვების საერთაშორისო გამოფენა „The China Food & Drinks Fair“ ქართული კომპანიების მონაწილეობით გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, გამოფენაზე ქართული ღვინის მწარმოებელი 23 კომპანია იყო წარმოდგენილი. სამდღიანი გამოფენის ფარგლებში, ქართული ღვინის კომპანიების წარმომადგენლებმა შეხვედრები პარტნიორებთან და პოტენციურ იმპორტიორებთან გამართეს. „The China Food & Drinks Fair“ ჩინეთში 1955 წლიდან ტარდება და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოფენაა, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ყოველწლიურად ათასობით ღვინის მწარმოებელი და მილიონამდე ვიზიტორი ესწრება.

TEXSOM-ის ღვინის საერთაშორისო კონკურსი

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners” ორგანიზებით, ტექსასის შტატის სომელიეთა კონფერენციის (TEXSOM) ღვინის საერთაშორისო კონკურსზე საქართველომ ჟიურის 1 სპეციალური ჯილდო, 2 ოქროს, 13 ვერცხლის და 15 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა (დეტალური ინფორმაცია გამარჯვებული ღვინოების შესახებ იხილეთ ბმულზე: https://texsom.com/results/). ქართული ღვინის წარმატება მსგავს საერთაშორისო პრესტიჟულ კონკურსში მიანიშნებს მის რეპუტაციასა და მაღალ ხარისხზე, ასევე, ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაციასა და გაყიდვების ზრდას. TEXSOM-ის კონკურსზე წარდგენილი იყო სხვადასხვა ქართული კომპანიის 50 ქართული ღვინო და ბრენდი, რომლებიც აშშ-ის ბაზარზე უკვე იყიდება.

ქართული ღვინის დეგუსტაციები აშშ-ის უმსხვილეს სუპერმარკეტების ქსელში „H-E-B“

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და პარტნიორი ამერიკული კომპანიის „A.G. Global Trade LLC“ ორგანიზებით, აშშ-ს ქალაქ ჰიუსტონში, უმსხვილეს სუპერმარკეტების ქსელში „H-E-B“ მარტის თვეში ქართული ღვინის 27 დეგუსტაცია გაიმართა. თითოეული ღონისძიების ფარგლებში, სადეგუსტაციოდ წარმოდგენილი იყო 5 ქართული ღვინო და, ასევე, საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს და თანამედროვე განვითარებული მეღვინეობის ქვეყნის შესახებ პრეზენტაციები. მომხმარებელზე ორიენტირებული მსგავსი ფორმატის ღონისძიებების მიზანია ქართული ღვინის ბაზრების დივერსიფიცირება და გაყიდვების ზრდის ხელშეწყობა. მაღაზიათა ქსელი „H-E-B“, რომელიც დაფუძნებულია ტექსასის შტატში, აშშ-ის უმსხვილესი კომპანიების სიაში შედის და მოიცავს 400-ზე მეტ მაღაზიას ტექსასსა და მექსიკაში.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

ქართული ღვინის დეგუსტაცია აშშ-ის კოლუმბიის უნივერსიტეტში

3 აპრილს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners" ორგანიზებით, აშშ-ში, კოლუმბიის უნივერისტეტის ღვინის კლუბში, ქართული ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას, რომელზეც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ღვინის კომპანიის ექვსი ღვინო საქართველოს მევენახეობის რეგიონებიდან, 70-მდე სტუდენტი დაესწრო. დეგუსტაციაზე დააგემოვნეს როგორც ქვევრის, ისე კლასიკური წესით დაყენებული ღვინოები; განსაკუთრებული მოწონება და ინტერესი წითელმა ღვინოებმა დაიმსახურა. კოლუმბიის უნივერისტეტის ღვინის კლუბში 300-მდე წევრია.

RAW WINE Verona

7 აპრილს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, იტალიის ქალაქ ვერონაში გამართულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „RAW WINE", ქართული ღვინის მწარმოებელი 5 კომპანია მონაწილეობდა. „RAW WINE " ერთ-ერთი გამორჩეული საერთაშორისო გამოფენაა, სადაც მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან. გამოფენის ორგანიზატორია ცნობილი ღვინის მაგისტრი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონი. გამოფენაზე „RAW WINE" ქართული ქვევრის ღვინის წარდგენა მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის პოპულარიზაციის, მცირე და საშუალო მარნების მიერ პოტენციური იმპორტიორების მოძიებისა და ექსპორტის ზრდისთვის.

ქართული ღვინის დეგუსტაცია ნორვეგიაში

7 აპრილს, ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გამართულ დეგუსტაციაზე ქართული ღვინის მწარმოებელი 14 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინო იყო წარმოდგენილი. ღონისძიებას ადგილობრივი სომელიეები, ღვინის ექსპერტები, მედიისა და ჰორეკა სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ. აღნიშნული ფორმატის ღონისძიება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქართული ღვინის ცნობადობის ზრდას სკანდინავიის ღვინის ბაზარზე. სკანდინავიის ქვეყნებში ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, ღვინის ეროვნულმა სააგენტომ მარკეტინგული აქტივობების განხორციელება აღნიშნულ ბაზარზე 2022 წლიდან აქტიურად დაიწყო.

„ProWein Tokyo"

15-17 აპრილს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „ProWein Tokyo" ქართული ღვინის მწარმოებელი 9 კომპანია მონაწილეობდა. გამოფენას 50 ათასამდე ვიზიტორი სტუმრობდა, მათ შორის, ღვინის პროფესიონალები და კომერციული სფეროს წარმომადგენლები, რაც მნიშვნელოვანია იაპონიაში ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდისთვის, ბაზარზე დამკვიდრებისა და სავაჭრო პარტნიორების მოძიებისთვის. ტოკიოში ასევე გაიმართა ქართული ღვინის საგანმანათლებლო მასტერკლასი და დეგუსტაცია, რომელსაც 30 ღვინის პროფესიონალი, მედიის და კომერციული სექტორის

წარმომადგენელი დაესწრო. დეგუსტაციას უძღვებოდა საფრანგეთის ღვინის აკადემიის (Academie du Vin) ექსპერტი ფრედერიკ კაიუე (Frederic Cayuela), რომელიც იაპონიის ღვინის სფეროშიც მოღვაწეობს და იაპონურ კომპანიას „Oteroirs K.K." წარმოადგენს. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახეობის 7 ქართული ღვინო.

„Orange Wine Festival"

25 აპრილს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 6 მარანი სლოვენიის რესპუბლიკის ქალაქ იზოლაში გამართულ ქარვისფერი ღვინოების საერთაშორისო ფესტივალში „Orange Wine Festival" მონაწილეობდა. „Orange Wine Festival" 2012 წელს დაარსდა. ფესტივალი წლის განმავლობაში რამდენჯერმე იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ფესტივალს 70-ზე მეტი მეღვინე დაესწრო შემდეგი ქვეყნებიდან: საქართველო, სლოვენია, ხორვატია, ავსტრია, იტალია, უნგრეთი, საბერძნეთი, ჩეხეთი, ჩინეთი.

ქვევრის საერთაშორისო დღე

27 აპრილს, ქვევრის საერთაშორისო დღე საქართველოში პირველად აღინიშნა. ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით ღვინის გამოფენები, კონკურსები და ფესტივალები იმართება, რაც მნიშვნელოვანია ღვინის ტურიზმის პოტენციალისა და ღვინის სამომხმარებლო კულტურის გაზრდისთვის. პროგრამას, ღვინის ეროვნული სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით, ახორციელებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ქვევრის დღე, საქართველოს სომელიეთა ასოციაციის ორგანიზებით აღინიშნა.

„ZERO COMPROMISE" 2025

2-3 მაისს, ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, თბილისში ბუნებრივი ღვინის ფესტივალი „ZERO COMPROMISE" გაიმართა. ყოველწლიური ფესტივალი „ZERO COMPROMISE" 2018 წლიდან ასოციაციის „ბუნებრივი ღვინო" ინიციატივით იმართება. მიმდინარე წელს, ფესტივალში მონაწილეობდა ასოციაციის წევრი 84 ადგილობრივი და სხვადასხვა ქვეყნის 30 მარანი საფრანგეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, ავსტრიიდან, იაპონიიდან, ავსტრალიიდან, ტაივანიდან, მექსიკიდან, თურქეთიდან და სლოვენიიდან.

„Les Festives Gourmandes"

9-11 მაისს, ბაზრების დივერსიფიცირებისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, ქართული ღვინო საფრანგეთის ღვინისა და გასტრონომიის პრესტიჟულ ფესტივალზე „Les Festives Gourmandes" ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Le Pont Caucasien" ორგანიზებით წარდგა. ფესტივალს, რომელიც ქალაქ შალონ-სიურ-სონში (Chalon-sur-Saône) გაიმართა, ყოველწლიურად 10 000-მდე სტუმარი, სომელიეები, ღვინის კომერციული და ჰორეკა

(HoReCa) სექტორის წარმომადგენლები ესწრებიან. ფესტივალმა წელს საიუბილეო, მე-20 წლისთავი აღნიშნა.

„ახალი ღვინის ფესტივალი“

10 მაისს, ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის სახელწიფო პროგრამის ფარგლებში, თბილისში, „მთაწმინდის პარკში“, „ახალი ღვინის“ ფესტივალი გაიმართა. „ახალი ღვინის ფესტივალი“ 2010 წლიდან, „ღვინის კლუბის“ ორგანიზებით ტარდება და მისი მიზანი ქართული ტრადიციული ქვევრის ღვინის პოპულარიზაცია, ახალი ჯიშებისა და მარნების აღმოჩენა, საქართველოში ღვინის განათლების დონის ამაღლება და სამომხმარებლო კულტურის განვითარებაა. წელს ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 170-მდე როგორც მცირე, საშუალო და დიდი მწარმოებლის 2024 წლის მოსავლის ღვინოები.

,,RAW Wine Tokyo”

10-11 მაისს, ღვინის მწარმოებელი ხუთი საოჯახო მარანი იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გამართულ გამოფენაში ,,RAW Wine Tokyo” მონაწილეობდა. იაპონელ ღვინის პროფესიონალებსა და მომხმარებლებს შესაძლებლობა მიეცათ, დაეგემოვნებინათ ქართული მარნების: „ანდრიას ღვინო“, „ართანა ვაინსი“, „იორა“, „მანავი ვაინსი“, „გაბრიელი ვაინსი“ ღვინოები. გამოფენის სტუმრები ქართული ღვინის წარმოების უძველეს ტრადიციებსა და კულტურას გაეცნენ.

,,RAW Wine Shanghai”

17 მაისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ღვინის მწარმოებელი სამი საოჯახო მარანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ შანხაიში გამართულ გამოფენაში ,,RAW WINE Shanghai” მონაწილეობდა. გამოფენაზე მისულ სტუმრებს, ღვინის პროფესიონალებს, კომერციული სფეროს წარმომადგენლებს და მომხმარებლებს შესაძლებლობა მიეცათ, დაეგემოვნებინათ ქართული მარნების: „იორა“, „მანავი ვაინსი“ და „ბაღდათი ისთეითის“ ღვინოები.

ქართული ღვინის პროფესიული დეგუსტაცია ლონდონში

17 მაისს, დიდი ბრიტანეთის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის ,,Swirl Wine Group“ ორგანიზებით, ლონდონში ქართული ღვინის პროფესიული დეგუსტაცია „The Georgian Palate” (ქართული გემო) გაიმართა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სტილის და დასახელების ქართული ღვინოები და მას ,,Swirl Wine Group“ დამფუძნებელი, ღვინის მაგისტრი სარა ებოტი უძღვებოდა. დეგუსტაციას ღვინის პროფესიონალები, მედიის და გაყიდვების სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

London Wine Fair 2025

19-21 მაისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 16 კომპანია ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაში London Wine Fair 2025 მონაწილეობდა. გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ბრიტანული კომპანიის Swirl Wine Group ხელმძღვანელმა, ღვინის მაგისტრმა სარა ებოტმა (Sarah Abbott) ღვინის პროფესიონალებისთვის ქართული ღვინის სამი პრეზენტაცია-დეგუსტაცია გამართა, სადაც, ჯამში, ქართული ღვინის მწარმოებელი 19 კომპანიის ღვინოები იყო წარმოდგენილი.

ქართული ღვინის წარდგენა პარიზში

19-22 მაისს, ქართული ღვინის დეგუსტაციები პარიზში გაიმართა. ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია ფრანგული გასტრონიმიის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სკოლაში „Ferrandi Paris“ ჩატარდა. საფრანგეთის დედაქალაქში ქართული ღვინის კიდევ ერთი დეგუსტაცია ჰორეკა სექტორის და მიშელინის ვარსკვლავის მფლობელი რესტორნების წარმომადგენლებისთვის გაიმართა, რომლის მთავარი კონცეფცია ქართული ღვინის ფრანგულ სამზარეულოსთან შეხამება იყო. საფრანგეთში ვიზიტის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, ლევან მეხუზლა „Ferrandi Paris” საერთაშორისო დეპარტამენტის ბიზნესის განვითარების პროექტის მენეჯერს ნიკოლას გაიაღს (Nicolas Caillard) შეხვდა. მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები განიხილეს. პარიზში გამართულ დეგუსტაციებს, ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე ანა გოდაბრელიძე უძღვებოდა.

„Interwine China 2025“

20-22 მაისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Bogvi International Trading Company Ltd“ ორგანიზებით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ გუანჯოუში გამართულ ღვინისა და სპირტიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე „Interwine China 2025“ ქართული ღვინის მწარმოებელი რვა კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინო იყო წარმოდგენილი. „Interwine China“ ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ალკოჰოლური გამოფენაა, რომელიც 2005 წლიდან, წელიწადში ორჯერ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე იმართება. გამოფენაზე წელს წარდგენილი იყო მსოფლიოს 53 ქვეყნის ღვინოპროდუქცია.

გერმანელი ღვინის პროფესიონალების ტური

20-25 მაისს, გერმანიის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი გერმანული მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations“ ორგანიზებით, საქართველოს გერმანელი ღვინის სომელიეები სტუმრობდნენ. ღვინის პროფესიონალების ათკაციანი ჯგუფის წევრები თბილისსა და კახეთში ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებსა და მარნებს ეწვივნენ, დააგემოვნეს სხვადასხვა სტილის ქართული ღვინოები.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

26 მაისი – „საქართველო ღვინის სამშობლო“

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტო ქალაქ ქუთაისში წარმოდგენილი იყო კონცეფციით - „საქართველო ღვინის სამშობლო“. ღონისძიებაში იმერეთის რეგიონის 11 ადგილობრივი ღვინის მწარმოებელი მონაწილეობდა. ბალახვანის ისტორიულ უბანში, საზეიმოდ მოწყობილ სივრცეში წარმოდგენილი იყო ქართული ღვინისა და ვაზის კულტურის ისტორიასა და ტრადიციებთან დაკავშირებული ვიზუალური და საინფორმაციო მასალა, მათ შორის, იმერეთის რეგიონის ღვინისა და ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება, „სომელიეს კუთხე“ , გაიმართა ქართული ღვინის გამოფენა-გაყიდვა;

ქართული ღვინის წარდგენა ჰელსინკში

29 მაისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, ჰელსინკის ისტორიულ სასახლეში „The Finnish House of Nobility”, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ფარგლებში, ქართული ღვინის პროფესიული წარდგენა გაიმართა. ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციას, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი ირაკლი ჩოლობარგია უძღვებოდა, დარგის ექსპერტები, ჰორეკა სექტორის წარმომადგენლები და იმპორტიორები დაესწრნენ. ღონისძიების მეორე ნაწილი მოიცავდა საზეიმო მიღებას ფინეთის მთავრობის, დიპლომატიური კორპუსის და მედიის წარმომადგენლების, ასევე, ღვინის პროფესიონალებისა და ინფლუენსერებისთვის.

„ბოლნისის ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის ფესტივალი“

31 მაისს, „ბოლნისის ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის ფესტივალი“ უკვე მესამედ გაიმართა და მასში საქართველოს სხვადასხვა კუთხის 60-მდე მეღვინეობა - მსხვილი მწარმოებლები, მცირე და საშუალო, მათ შორის საოჯახო, მარნები მონაწილეობდნენ. ფესტივალის ფარგლებში, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) სტანდარტებით, ადგილწარმოშობის ღვინოების კონკურსი ჩატარდა. საერთაშორისო გამოცდილების მქონე ჟიურის წევრებმა დიდი ოქროს, ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მფლობელი ღვინოები გამოავლინეს. ფესტივალს ევროპის ქვეყნებიდან ღვინის იმპორტიორები, ექსპერტები, ბლოგერები, ტურიზმის სფეროს წარმომადგენლები სტუმრობდნენ. ფესტივალი, ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის სახელწიფო პროგრამის ფარგლებში გაიმართა.

„Georgian Grand Tasting“

3 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი პოლონური მარკეტინგული კომპანიის „People PR” ორგანიზებით, ვარშავაში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია „Georgian Grand Tasting“ გაიმართა. წარდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 24 კომპანიის სხვადასხვა სახეობის პროდუქცია. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქართული ღვინის სამი მასტერკლასი, რომლებსაც გერმანელი ღვინის მაგისტრი კონსტანტინ ბაუმი და პოლონური კომპანიის „ო-ლილე“ ხელმძღვანელი ქეთევან ფრანგულაიშვილი უძღვებოდნენ.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

„ქართული კულტურის დღეების“ ერევანში

5-7 ივნისს, სომხეთის დედაქალაქი ერევანი „ქართული კულტურის დღეებს" მასპინძლობდა. ღონისძიება საქართველოს მთავრობის, კულტურის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერითა და ორგანიზებით ჩატარდა. 6 ივნისს, ქალაქ ერევანში საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ქართული ღვინის პოპულარიზაციისადმი მიძღვნილი მასშტაბური ღონისძიებები გაიმართა, რომელსაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა დაესწრნენ. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია, რომელშიც მონაწილეობდა ქართული ღვინის მწარმოებელი 15 კომპანია.

„WinExpo Georgia 2025“

6-8 ივნისს, ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-17 საერთაშორისო გამოფენა „WinExpo Georgia 2025“ გაიმართა. გამოფენა „WinExpo Georgia“ გამოფენების ცენტრის „ექსპოჯორჯია“ ორგანიზებით ტარდება. გამოფენაში მსოფლიოს 7 ქვეყნის (გერმანია, სომხეთი, ავსტრია, იტალია, საფრანგეთი, პორტუგალია, თურქეთი) 200-მდე კომპანია მონაწილეობდა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი დიდი და საშუალო კომპანიები, მცირე მარნები, ასევე ღვინის ტექნოლოგიები, შესაფუთი მასალები, მევენახეობა-მეღვინეობის მანქანა-დანადგარები, აქსესუარები და სერვისები. გამოფენის ფარგლებში რიგით მე-15 საერთაშორისო ღვინის კონკურსი „Georgia International Wine Award“ გაიმართა.

ქართული ღვინის წარდგენა ნიუ-იორკში

7 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს პარტნიორი კომპანიის „Vinoveli Inc“-ის ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაცია ამერიკული სადისტრიბუციო კომპანიის M.S. Walker ნიუ-იორკის ოფისში გაიმართა. ღონისძიება, რომელსაც ღვინის ბლოგერები, იმპორტიორები, დისტრიბუტორები, მედიის და HoReCa (სასტუმრო-რესტორანი-კაფე) სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ, ფოკუსირებული იყო მათ ინფორმირებაზე ქართული ღვინის ისტორიისა და კულტურის, ღვინოებისა და ვაზის ჯიშების მრავალფეროვნების შესახებ. დეგუსტაციაზე წარდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 10 კომპანიის დასახელების 30 ღვინო.

იაპონელი ღვინის პროფესიონალების ტური

7-12 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოს იაპონელი ღვინის პროფესიონალები სტუმრობდნენ. 12-კაციან ჯგუფს იაპონელი ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში ხელმძღვანელობდა. ტურის ფარგლებში, სტუმრები ღვინის კომპანიებსა და მარნებს იმერეთსა და რაჭაში ეწვივნენ. მათი შთაბეჭდილებები და შეფასებები იაპონურ გამოცემებსა და სხვადასხვა ბლოგზე გავრცელდება, რაც ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას შეუწყობს ხელს. ღვინის

ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Red Bridge“ ხელმძღვანელი კენიჩი ოჰაში, იაპონიაში ერთადერთი ღვინის მაგისტრია.

RAW Wine Copenhagen 2025

8 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ღვინის მწარმოებელი ექვსი საოჯახო მარანი დანიის სამეფოს დედაქალაქ კოპენჰაგენში გამართულ გამოფენაში ,,RAW Wine Copenhagen” მონაწილეობდა. გამოფენაზე მისულ სტუმრებს, ღვინის პროფესიონალებს, კომერციული სექტორის შესაბამისი მიმართულების წარმომადგენლებს და მომხმარებლებს შესაძლებლობა მიეცათ, დაეგემოვნებინათ ქართული მარნების: „ახმეტას ღვინის სახლი“, „ანდრიას ღვინო“, „ექიმის ბიო მარანი“, „მანავი ვაინს“, „მათიაშვილის ღვინის მარანი“, „შერმას საოჯახო მეღვინეობა“ ღვინოები.

ქართული ღვინის წარდგენა ანტვერპენში

8 ივნისს, ბელგიის სამეფოს ქალაქ ანტვერპენში, ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენის „Naturale 2025“ ფარგლებში, ქართული ღვინის წარდგენა ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „FLOW SRL“ ორგანიზებით გაიმართა. ქართული ღვინო აღნიშნულ გამოფენაზე პირველად იყო წარმოდგენილი. გამოფენას „Naturale 2025“ ბელგიელი ღვინის პროფესიონალები და იმპორტიორები დაესწრნენ, რაც იძლევა ქართული ღვინის ევროპის ბაზარზე ცნობადობის ზრდის და ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიების დამატებით შესაძლებლობას.

ქართული ღვინის წარდგენა ბრუსელში

14 ივნისს, ბელგიის სამეფოს დედაქალაქ ბრუსელში, ბუნებრივი ღვინოების და ალკოჰოლიანი სასმელების მესამე გამოფენაზე „Atomic PIF” ქართული ღვინის წარდგენა ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „FLOW SRL“ ორგანიზებით გაიმართა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების 30 მწარმოებლის პროდუქცია საქართველოდან, ბელგიიდან, საფრანგეთიდან და გერმანიიდან. გამოფენა-გაყიდვას ღვინის პროფესიონალები, ჰორეკა სექტორის წარმომადგენლები და იმპორტიორები დაესწრნენ, რაც ქართული ღვინის ევროპის ბაზარზე ცნობადობის ზრდის და ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიების დამატებით შესაძლებლობაა.

„საქართველოს ფესტივალი“ ტოკიოში

15 ივნისს, იაპონიაში საქართველოს საელჩოს და საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ტოკიოში გამართული „საქართველოს ფესტივალის“ ფარგლებში, ქართული ღვინის წარდგენაც გაიმართა. იაპონია ქართული ღვინის ერთ-ერთი სტარტეგიული ბაზარია, სადაც ქართული ღვინის პირველი მასშტაბური წარდგენა 2014 წელს მოხდა. მას შემდეგ, სახელმწიფოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის კომპანიები მუდმივად მონაწილეობენ საერთაშორისო გამოფენებში, ტარდება დეგუსტაციები იაპონიის სხვადასხვა ქალაქში, იაპონელი ღვინის პროფესიონალებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის ეწყობა ღვინის ტურები საქართველოში. იაპონიის ბაზარი მზარდი და, ამავე

დროს, ქართული ღვინისთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალფასიანი სეგმენტია, სადაც ქართული ღვინის ერთი ლიტრის ფასი 6 აშშ დოლარს აღემატება.

ქართული ღვინის წარდგენა „James Beard Foundation“ -ის ცერემონიაზე

16 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners” ორგანიზებით, სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინის წარდგენა აშშ-ში, ქალაქ ჩიკაგოში პრესტიჟულ ღონისძიებაზე „James Beard Foundation“ იყო წარმოდგენილი. ამერიკის შეერთებული შტატების მასშტაბით, კულინარიულ ინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პრესტიჟული დაჯილდოების ცერემონია „James Beard Foundation“, რომელიც წელს ჩიკაგოს ოპერაში გაიმართა, შეფ-მზარეულებისა და რესტორატორების გამორჩეულ მიღწევებს, ინოვაციებს, აგრეთვე კვებისა და სასმელების ინდუსტრიაში მიღწეულ წარმატებებს ეძღვნება. 2025 წლის „James Beard Foundation“-ის ცერემონიას 1500 სტუმარი, კვებისა და სასმელების ინდუსტრიისა და პრესტიჟული ამერიკული მედია ჰოლდინგების წარმომადგენელი დაესწრო.

ბრიტანელი ღვინის პროფესიონალების ტური

17-22 ივნისს, დიდი ბრიტანეთის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის ,,Swirl Wine Group“ ორგანიზებით, საქართველოს ბრიტანეთიდან 12-კაციანი ჯგუფი სტუმრობდა. ბრიტანელი ღვინის პროფესიონალების, იმპორტიორებისა და ჟურნალისტებისგან შემდგარი ჯგუფის წევრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს ქართლსა და კახეთში ეწვივნენ, სადაც სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო დააგემოვნეს. თბილისში გამართულ სპეციალურ დეგუსტაციაზე „Walk-around Tasting“ ბრიტანელი სტუმრები 16 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინოს

ქართული ღვინო სერიალში „Somebody Feed Phil”

18 ივნისს გამოვიდა ცნობილი ამერიკული მედიაკომპანიის Netflix ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული სერიალის „Somebody Feed Phil” მე-8 სეზონის მე-4 ეპიზოდი, რომელიც საქართველოს და ქართულ ღვინოს მიეძღვნა. მე-4 ეპიზოდის გადასაღებად, Netflix-ის შემოქმედებითი ჯგუფი საქართველოში 2024 წლის შემოდგომაზე იმყოფებოდა. ღვინის ეროვნული სააგენტო ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული ღვინის ცნობადობის ზრდისთვის სარეკლამო კამპანიას აქტიურად ახორციელებს. გაძლიერდა სარეკლამო კამპანიები ისეთ გავლენიან მედია საშუალებებთან, როგორიც არის CBS, CNN, „The New York Times”, „Wine Enthusiast“, რამაც აშშ-ში ქართული ღვინის გაყიდვების ზრდა განაპირობა.

ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია ბურგუნდიის რეგიონში

19 ივნისს, ქართული ღვინის პრეზენტაციას და პროფესიულ დეგუსტაციას ფრანგი ღვინის ექსპერტი კლემანს ჟირო (Clemence Giraud) უძღვებოდა. ნუი-სენ-ჟორჟის (Nuits-Saint-Georges) მხარეში

გამართულ ღონისძებას 80-ზე მეტი სტუმარი ესწრებოდა, რომელთა შორის იყვნენ HoReCa და ღვინის ტურიზმის სექტორების წარმომადგენლები, სომელიეები, ბაიერები, ღვინის მწარმოებლები, დარგის ადგილობრივი ექსპერტები და ჟურნალისტები. ღონისძიების ფარგლებში, საფრანგეთში მოღვაწე მეცნიერის, ნატო მამუკაშვილის ახალი წიგნის „ბურგუნდიის ტერუარები და ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდი საქართველოში" პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიების სტუმრებისთვის გაიმართა დოკუმენტური ფილმის „საქართველო ღვინის აკვანი" ჩვენება;

ქართული ღვინის წარდგენა აშშ-ში, ფესტივალზე „Food and Wine Classic Aspen 2025”

20-22 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners” ორგანიზებით, ქართული ღვინის წარდგენა აშშ-ში, კოლორადოს შტატში, ქალაქ ასპენში ყოველწლიურ ფესტივალზე „Food and Wine Classic Aspen 2025” გაიმართა. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დასახელების 200-მდე ალკოჰოლური სასმელი. რიგით 42-ე ფესტივალის ათასობით სტუმარს, სამი დღის განმავლობაში, შესაძლებლობა მიეცა 20 სახეობის ქართული ღვინო დაეგემოვნებინა. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ქართული ღვინის პროფესიული სემინარი და დეგუსტაცია, რომელსაც კომერციული სექტორის წარმომადგენლები და მომხმარებლები ესწრებოდნენ.

ქართული ღვინის წარდგენა ბელგიაში

22 ივნისს, ბელგიის სამეფოს დედაქალაქ ბრუსელში, ფესტივალი „ქართული ბუნებრივი ღვინის დღე“ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „FLOW SRL“ ორგანიზებით გაიმართა. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების 7 მწარმოებლის პროდუქცია და მას ღვინის პროფესიონალები, ჰორეკა სექტორის წარმომადგენლები და იმპორტიორები დაესწრნენ, რაც ქართული ღვინის ევროპის ბაზარზე ცნობადობის ზრდის და ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიების დამატებით შესაძლებლობაა.

„ქართული ღვინის ფორუმი“ აშშ-ში

23-24 ივნისს, კალიფორნიის შტატის ქალაქებში, დევისსა და სან-ფრანცისკოში, ქართული ღვინის მე-8 ფორუმი ღვინის ეროვნული სააგენტოსა და სან-ფრანცისკოში საქართველოს გენერალური საკონსულოს მხარდაჭერით და საქართველო-ამერიკის ბიზნესსაბჭოს ორგანიზებით გაიმართა. ფორუმის ფარგლებში, ქალაქ დევისის რობერტ მონდავის ინსტიტუტში სამეცნიერო სემინარი მეცნიერების, ეკონომისტების და ღვინის პროფესიონალების მონაწილეობით ჩატარდა. კონფერენციის ფარგლებში, მონაწილეებმა განიხილეს ქართული ღვინის აშშ-ის ბაზარზე დამკვიდრების სტრატეგია, აშშ-ის ბაზარზე ქართული ღვინის მარკეტინკული პოტენციალი და ქართული ღვინის თანამედროვე ინდუსტრიის მდგომარეობა. ამასთან ერთად, ქალაქ სან-ფრანცისკოში ქართული ღვინის კულტურის, მისი ისტორიის, ჯიშობრივი მრავალფეროვნების, უნიკალური მეღვინეობის მეთოდების, ქართული ღვინის ეკონომიკის და მარკეტინგის შესახებ კონფერენცია და ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

ქართული ღვინის წარდგენა შანხაიში

23-27 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა შანხაიში, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ღვინის კონკურსს „Shanghai International Wine Challenge“ (SIWC) დაესწრო, რომლის ფარგლებში ხუთდღიანი კონკურსის ერთი საკონკურსო დღე მხოლოდ ქართულ ღვინოს დაეთმო. რიგით მე-19 კონკურსი 2006 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და მისი მიზანია მსოფლიოს მასშტაბით ღვინის უმაღლესი ხარისხის წარმოჩენა და საერთაშორისო ვაჭრობისა და კულტურული ურთიერთობების გაღრმავება ჩინეთის ბაზარზე. კონკურსზე წარდგენილი იყო 200-მდე ქართული ღვინო. კონკურსზე „Shanghai International Wine Challenge“ (SIWC) ქართულმა ღვინოებმა 96 ჯილდო მოიპოვეს: 10 – „პლატინა: 44 – „ოქრო“, 35 – „ვერცხლი“, 2 – „საუკეთესო ტროფი“ 5 – „პოპულარული“. ღონისძიების ფარგლებში ასევე გაიმართა ქართული ღვინის მასტერკლასი და დეგუსტაცია, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა და სააგენტოს სახელმწიფო სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე ანა გოდაბრელიძე უძღვებოდნენ.

Seoul Wine and Spirits Expo 2025

26-28 ივნისს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, სოლომონ პავლიაშვილი და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე, ზურაბ ვაჭარაძე, კორეის რესპუბლიკაში გამართულ ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო გამოფენას „Seoul Wine and Spirits Expo 2025“ დაესწრნენ. გამოფენაში მონაწილეობა მიიღო ქართული ღვინის ექვსმა კომპანიამ, რაც ქართველ მწარმოებლებს შესაძლებლობას აძლევს, საკუთარი პროდუქცია წარუდგინონ ადგილობრივ ღვინის პროფესიონალებს, იმპორტიორებსა და მედიის წარმომადგენლებს. გამოფენის ფარგლებში, სეულში გაიმართა ქართული ღვინის მასშტაბური პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა ღვინის მასტერკლასს, დეგუსტაციას და „ქართული ღვინის ფესტივალს“, რომლის ფარგლებში ასევე წარმოდგენილი იყო ქართული ღვინისა და კორეული სამზარეულოს შეხამება. კორეის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, ქართული დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს მეღვინეობის ინდუსტრიისა და კომერციული სექტორის წარმომადგენლებთან.

ქართული ღვინის წარდგენა მანჩესტერში

2 ივლისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის პროფესიული წარდგენა მანჩესტერში გაიმართა. დეგუსტაციას, რომელსაც ღვინის მაგისტრი სარა ებოტი (Sarah Abbott) უძღვებოდა, ღვინის ექსპერტები, ჰორეკა და კომერციული სექტორის, ასევე მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. ქართული ღვინოების დეგუსტაციასთან ერთად, სარა ებოტმა სტუმრებს ქართული ღვინის კულტურისა და ისტორიის, ასევე თანამედროვე ინდუსტრიის პრეზენტაცია წარუდგინა. სარა ებოტი ხელმძღვანელობს ბრიტანულ მარკეტინგულ კომპანიას „Swirl Wine Group”, რომელთანაც ღვინის ეროვნული სააგენტო 2015 წლიდან თანამშრომლობს.

ამერიკელი ღვინის მაგისტრის ლისა პეროტი-ბრაუნის ვიზიტი საქართველოში

ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და ამერიკულ კომპანიასთან „Big Sky Ranch Inc” თანამშრომლობის ფარგლებში, 8-16 ივლისს, საქართველოს ამერიკელი ღვინის მაგისტრი ლისა პეროტი-ბრაუნი (Lisa

Perrotti-Brown) სტუმრობდა. ლისა პეროტი-ბრაუნი ქართული ღვინის მწარმოებელ მარნებსა და კომპანიებს კახეთში ესტუმრა, ადგილზე დააგემოვნა მრავალფეროვანი ქართული ღვინოები, გაეცნო ღვინის დაყენების ქართულ ტექნოლოგიებს. თბილისში, ორი დღის განმავლობაში, სპეციალურ დეგუსტაციაზე ლისა პეროტი-ბრაუნმა სხვადასხვა ღვინის კომპანიის 100-მდე ღვინო დააგემოვნა. ღვინის მაგისტრის მიერ შერჩეულ ღვინოებზე შეფასებები გამოქვეყნდა „The Wine Palate"-ის სტატიაში. ცნობილ ამერიკელ ღვინის მაგისტრთან თანამშრომლობის მიზანია, ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ქართული ღვინის წარდგენა გერმანიის ქალაქ დუსელდორფში გაიმართა

21 აგვისტოს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და ცნობილი გერმანელი ინფლუენსერის და სომელიეს, ტონი ასკიტისის (Toni Askitis) ორგანიზებით, გერმანიის ქალაქ დუსელდორფში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. ტონი ასკიტისი საკუთარ პოპულარულ არხზე #Asktoni ღვინის სფეროს სიახლეებს და ტენდენციებს გადმოსცემს. სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა ტონი ასკიტისის ღვინის ბარში „Pelican Fly" და ასევე ადგილობრივ პარკში დეგუსტაციაზე სახელწოდებით - "Tasting in the park". ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და საერთაშორისო მარკეტინგული კომპანიის „Meiburg Wine Media" ორგანიზებით, საქართველოში ღვინის ტური განხორციელდა.

ამერიკელი მასტერ-სომელიეების ჯგუფის ვიზიტი

28 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners" ორგანიზებით, საქართველოში ამერიკელი ღვინის პროფესიონალების ტური ჩატარდა. პროფესიონალების ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ Colangelo & Partners-ის ვიცე-პრეზიდენტი პოლ იანონი (Paul Yanon) და მასტერ-სომელიეები, რომლებსაც აშშ-ის სხვადასხვა შტატში მიშელინის ვარსკვლავის რესტორნებსა და ჰორეკა სექტორში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. მასტერ-სომელიეები ღვინის ინდუსტრიაში ერთ-ერთ ყველაზე მაღალი დონის, გავლენიან და მოთხოვნად ექსპერტებად ითვლებიან, რომელთაც ღვინოსთან დაკავშირებული დიდი გამოცდილება აქვთ. ტურის ფარგლებში, ამერიკელი მასტერ-სომელიეები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთში ესტუმრნენ, სადაც ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას გაეცნენ, ადგილზე დააგემოვნეს როგორც კლასიკური, ასევე ტრადიციული მეთოდით დამზადებული ქართული ღვინოები. სტუმრებისთვის ქართული ღვინის მასტერკლასი და დეგუსტაცია გაიმართა თბილისშიც.

მარკეტინგული კამპანია გერმანიის ღვინის მაღაზიათა ქსელებში

აგვისტოში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „FF.K Public Relations" ორგანიზებით, გერმანიაში, ღვინის საცალო გაყიდვების ქსელებში ქართული ღვინის აქტიური მარკეტინგული კამპანია დაიწყო. მომხმარებელზე ორიენტირებული მსგავსი ფორმატის ღონისძიებების მიზანია, ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრებზე გაყიდვების ზრდის ხელშეწყობა. გერმანიის ღვინის ბაზარზე ერთ-ერთ ყველაზე

პრესტიჟულ ღვინის მაღაზიათა ქსელის „Jacques Wein Depot" 300-ზე მეტ მაღაზიაში ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო საპრომოციო ღვინოებისთვის განკუთვნილ სპეციალურ სივრცეში. ამასთან ერთად, კამპანიის ფარგლებში, ქართული ღვინის ონლაინ-თარო და სპეციალური გვერდი ჩაეშვა HAWESKO-ს ონლაინ-მაღაზიაში. კომპანია HAWESKO Holding გერმანიაში ყველაზე დიდი და პრესტიჟული რითეილერია პრემიუმ ღვინოების კატეგორიაში, რომელთანაც ღვინის ეროვნული სააგენტო 2023 წლიდან თანამშრომლობს. აღნიშნული კომპანიის პორტფელში ქართული ღვინოების რაოდენობა ყოველწლიურად მზარდია.

ღვინის პროფესიონალები ტური აზიიდან

10-კაციანი ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ღვინის პროფესიონალები და კომერციული სფეროს წარმომადგენლები სინგაპურიდან, ავსტრალიიდან და ჰონგ-კონგიდან. 28 აგვისტოდან 2 სექტემბერს გამართული ტურის ფარგლებში სტუმრები ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებს კახეთსა და ქართლში გაეცნენ, დააგემოვნეს როგორც ქვევრის, ასევე კლასიკური მეთოდით წარმოებულ სხვადასხვა სახეობის ქართულ ღვინო. ტურის მონაწილეებისთვის თბილისში ასევე გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო ღვინის მწარმოებელი 16 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინო.

ქართული ღვინის წარდგენა ნიდერლანდებში

5-7 სექტემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Wijnimport Bleeker" ორგანიზებით, ამსტერდამში, საერთაშორისო ფესტივალის „Amsterdam Wine Festival" ფარგლებში, ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა. გამოფენის ათასობით სტუმარს შესაძლებლობა მიეცა, დაეგემოვნებინა ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების სხვადასხვა სტილის როგორც კლასიკური, ისე ქვევრის ტექნოლოგიით დამზადებული ღვინოები.

ქართული ღვინის წარდგენა ვარშავაში

6-7 სექტემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი პოლონური მარკეტინგული კომპანიის „People PR" ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაცია პოლონეთის დედაქალაქში, ფესტივალზე „Warsaw Night Market" გაიმართა. ფესტივალს, რომელიც პოლონეთის ღვინის ბაზარზე პოპულარობით სარგებლობს, ტრადიციულად ათასობით ღვინის მომხმარებელი, ასევე ღვინის პროფესიონალები, იმპორტიორები, ჰორეკა სექტორის და მედიის წარმომადგენლები ესწრებიან.

ქართული ღვინის წარდგენა ლონდონში

10 სექტემბერს, დიდი ბრიტანეთის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის ,,Swirl Wine Group" ორგანიზებით, ლონდონში ქართული ღვინის პროფესიული დეგუსტაცია „The Georgian Palate" (ქართული გემო) გაიმართა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო

სხვადასხვა სტილის და დასახელების ქართული ღვინოები. დეგუსტაციას, რომელსაც ღვინის პროფესიონალები, მედიის და გაყიდვების სფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ, ,,Swirl Wine Group" დამფუძნებელი, ღვინის მაგისტრი სარა ებოტი უძღვებოდა.

ამერიკელი ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლების ტური საქართველოში

7-12 სექტემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს და ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners"-ის ორგანიზებით, ამერიკელი ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლების ტური ჩატარდა. 14-კაციანი პროფესიონალების ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ქართული ღვინის პოპულარიზაციის კამპანიის მენეჯერი მერიონ ჰელუი და ამერიკის ღვინით ვაჭრობის სექტორის წარმომადგენლები. ტურის ფარგლებში, ამერიკელი სტუმრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთში ესტუმრნენ, სადაც ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას გაეცნენ, ადგილზე დააგემოვნეს როგორც კლასიკური, ასევე ტრადიციული მეთოდით დამზადებული ქართული ღვინოები. ქართული ღვინის მასტერკლასი და დეგუსტაცია გაიმართა თბილისშიც, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გასცნობოდნენ ქართული ღვინის მწარმოებელი 16 კომპანიის ღვინოებს.

ქართული ღვინის წარდგენა იაპონიის ქალაქ ნაგოიაში

17 სექტემბერს, საქართველოს მეღვინეობის ისტორიის, კულტურის, ვაზის ჯიშებისა და ღვინის თანამედროვე ინდუსტრიის შესახებ პრეზენტაცია კომპანიის „Red Bridge" დირექტორმა, იაპონიაში ერთადერთმა ღვინის მაგისტრმა, კენიჩი ოჰაშიმ გამართა; მანვე სტუმრებს სხვადასხვა სტილის 8 ქართული ღვინო წარუდგინა კახეთის, იმერეთისა და რაჭის რეგიონებიდან. ღონისძიებას იმპორტიორები, ბაიერები, სავაჭრო ქსელებისა და მედიის წარმომადგენლები, ჯამში, 100-მდე სტუმარი დაესწრო. ნაგოია, იაპონიის ჩუბუს პრეფექტურის უდიდესი და ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქალაქი, რეგიონის დედაქალაქად ითვლება და მნიშვნელოვან სატრანსპორტო და სამრეწველო ცენტრს წარმოადგენს 10 მილიონი მაცხოვრებლით. ნაგოია იაპონიაში სიდიდით მესამე ქალაქია ტოკიოსა და ოსაკას შემდეგ.

ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია ლოს-ანჯელესში

23 სექტემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს და ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners" მხარდაჭერით, აშშ-ის კალიფორნიის შტატის ქალაქ ლოს-ანჯელესში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია „Wines of Georgia Grand Tasting" გაიმართა, რომელმაც ამერიკელ ღვინის დარგის პროფესიონალებს, მედიის წარმომადგენლებსა და მომხმარებლებს უმასპინძლა. ღონისძიება მოიცავდა დეგუსტაციას 150-ზე მეტი ტოპ სომელიეს, რითეილერისა და მედიის წარმომადგენლისთვის, ასევე, ქართული ღვინის მასტერკლასს მოწვეული ბაიერებისთვის და მომხმარებლებისთვის. ქართული ღვინის მასშტაბურ დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო 30-მდე ქართული ღვინის კომპანიის 120-მდე ბოთლი სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

მედია ტური გერმანიიდან

23-28 სექტემბერს, გერმანიის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations“ ორგანიზებით, საქართველოს გერმანიიდან ჟურნალისტები, ბლოგერები და ინფლუენსერები სტუმრობდნენ. ათკაციანი ჯგუფის წევრები ქართლსა და კახეთში ღვინის მწარმოებელ კომპანიებსა და მარნებს ეწვივნენ, დააგემოვნეს სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო, გაეცნენ ქვევრის დამზადების ტექნოლოგიებსა და პროცესს. ქართული ღვინის მასტერკლასი და დეგუსტაცია გაიმართა თბილისშიც.

ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა-დეგუსტაცია კრაკოვში

24 სექტემბერს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და პოლონეთის რესპუბლიკაში სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „ო-ლილე“ ორგანიზებით, ქალაქ კრაკოვში, ხელოვნების გალერეა „Bunkier Sztuki"-ის 60 წლის საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში, ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა-დეგუსტაცია გაიმართა.ღონისძიებას 400-მდე სტუმარი, ხელოვნების, ბიზნესისა და პოლიტიკის სფეროს წარმომადგენელი დაესწრო. დეგუსტაციის პარალელურად მოეწყო ქართული ღვინის კულტურისა და ისტორიის ამსახველი საინფორმაციო სტენდტი, რაც ქართული ღვინის ცნობადობისა და პოპულარიზაციის ზრდს უწყობს ხელს.

„ProWine São Paulo 2025”

30 სექტემბრიდან 2 ოქტიმბარმდე ღვინის ეროვნული სააგენტოს და ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქალაქ სან-პაულოში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „ProWine São Paulo“ ქართული ღვინის მწარმოებელი ხუთი კომპანია მონაწილეობდა. მსგავს მასშტაბურ გამოფენაზე ქართველი მწარმოებლების მონაწილეობა მნიშვნელოვანია ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდისა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისთვის.

პოლონელი ღვინის პროფესიონალების ტური

29 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „People PR" ორგანიზებით, საქართველოში პოლონელი ღვინის პროფესიონალების ტური ჩატარდა. 8-კაციანი ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ღვინის იმპორტიორები, კომერციული სექტორის და კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „People PR” წარმომადგენლები. ტურის ფარგლებში, სტუმრები ქართლისა და კახეთის რეგიონებში იმყოფებოდნენ, სადაც ღვინის საწარმოები დაათვალიერეს, ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას გაეცნენ, ადგილზე დააგემოვნეს როგორც კლასიკური წესით, ასევე ტრადიციული მეთოდით დამზადებულ ქართული ღვინოები. პოლონელი სტუმრებისთვის თბილისში ქართული ღვინის დეგუსტაციაც გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 15 კომპანიის სხვადასხვა ღვინო.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

გერმანელი ინფლუესერების ტური

30 სექტემბერი-5 ოქტომბერი, გერმანიის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations“ ორგანიზებით, საქართველოში გერმანელი ინფლუესერების ტური გაიმართა. ჯგუფის წევრები, რომელთა შორის იყვნენ სომელიეები, ბლოგერები, ვიდეო-ფოტოგრაფები, ქართლსა და კახეთში ღვინის მწარმოებელ კომპანიებსა და მარნებს ეწვივნენ. მეღვინეობებში სტუმრებმა დააგემოვნეს როგორც კლასიკური, ასევე ტრადიციული მეთოდით დამზადებული ქართული ღვინოები, გაეცნენ ქართული ღვინის მრავალსაუკუნოვანოვან ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს. ინფლუესერების მიერ საქართველოს და ქართული ღვინის შესახებ მომზადებული რეპორტაჟები ხელს შეუწყობს გერმანიაში ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას და პოპულარიზაციას.

ქართულ ღვინის წარდგენა მილანის ღვინის კვირეულის ფარგლებში

6 ოქტომბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს და მილანში საქართველოს გენერალური საკონსულოს მხარდაჭერით, იტალიის ქალაქ მილანის რიგით მერვე ღვინის საერთაშორისო ფესტივალზე ,,Milano Wine Week 2025” ქართულ ღვინო იყო წარმოდგენილი. 9 დღიანი ფესტივალის ფარგლებში, რომელიც ორიენტირებულია ღვინის ინდუსტრიის პროფესიონალებზე, მომხმარებელზე, მედიისა და კომერციული სფეროს წარმომადგენლებზე, ქართული ღვინის წარდგენის ღონისძიებები გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს ღონისძიებების მენეჯერმა ირაკლი ჩოლობარგიამ ქართული ღვინის შესახებ პრეზენტაცია და მასტერკლასი ღვინის პროფესიონალების, იმპორტიორების, საცალო ქსელებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის ჩაატარა. გაიმართა „Walk-around“ ფორმატის დეგუსტაციებიც.

ქართული ღვინის წარდგენა ნიდერლანდების სამეფოში

6-8 ოქტომბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Wijnimport Bleeker“ ორგანიზებით, ნიდერლანდების სამეფოში, ქალაქ მაასტრიხტში, საერთაშორისო გასტრონომიულ ფესტივალზე „Folie culinaire“ ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა. სამდღიანი ღონისძიების ფარგლებში, ათასობით სტუმარს შესაძლებლობა მიეცა, დაეგემოვნებინა ქართული ღვინის მწარმოებელი 20-მდე კომპანიის 50-მდე სხვადასხვა სტილის როგორც კლასიკური, ისე ქვევრის ტექნოლოგიით დამზადებული ღვინოები. ფესტივალი 2013 წლიდან ტარდება და მას ადგილობრივი ღვინის ექსპერტები, სომელიეები, კომერციული, HoReCa და მედია სექტორის წარმომადგენლები ესწრებიან, რაც მნიშვნელოვანია ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდისთვის ევროპის ღვინის ბაზარზე.

ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა სეულში

13 ოქტომბერს, ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კორეული მარკეტინგული კომპანიის „Wine21.com” ორგანიზებით, ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა კორეის

რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა. ღონისძიება მოიცავდა პროფესიულ მასტერკლასს, დეგუსტაციას და ქართული ღვინის ფესტივალს 400 მოწვეული სტუმრისთვის, რომელთა შორის, მეღვინეობის დარგის ექსპერტები, სომელიეები, ბაიერები, მედიის წარმომადგენლები და ინფლუენსერები იყვნენ. ღონისძიების სტუმრებს ქართული ღვინის ისტორიისა და თანამედროვე ინდუსტრიის შესახებ პრეზენტაცია ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგის კოორდინატორმა მარიამ მეტრეველმა წარუდგინა. ღონისძიების მეორე ნაწილში, ქართული ღვინის მწარმოებელი 13 კომპანიის მიერ, ადგილობრივი იმპორტიორების, ჰორეკა სექტორის წარმომადგენლებისა და სომელიეებისთვის დეგუსტაცია გაიმართა. ღონისძიების დასკვნითი ნაწილი ქართული ღვინის ფესტივალით დასრულდა, რომელიც მოიცავდა საზეიმო მიღებას დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების, დარგის ადგილობრივი ექსპერტების, ჟურნალისტებისა და ინფლუენსრებისთვის, ასევე ქართული ღვინის ისტორიასა და კულტურასთან დაკავშირებულ საინფორმაციო აქტივობებს.

ქართული ღვინის სარეკლამო კამპანია გერმანიაში

ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „ff.k. Public Relations“ ორგანიზებით, გერმანიაში მომხმარებელზე ორიენტირებული მარკეტინგული კამპანია აქტიურად გაგრძელდა. კამპანია მოიცავს ქართული ღვინის სარეკლამო აქტივობებს ღვინის მაღაზიათა პრესტიჟულ ქსელში „Jacques Wein Depot” და პრემიუმ ღვინოების უმსხვილეს იმპორტიორ კომპანიაში „HAWESKO Holding SE". აღნიშნული კამპანია აგვისტოში დაიწყო და ორიენტირებულია მომხმარებლებში ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდაზე. "Jacques Wein Depot"- ის ონლაინ ვებგვერდზე განთავსებულია ქართული ღვინის სარეკლამო სტატიები, ბანერები და ქართველ მეღვინეებთან ინტერვიუები. ოქტომბრის თვიდან კი, გაყიდვებში ქართული ღვინის სასაჩუქრე ყუთიც ჩაეშვა. კამპანიის ფარგლებში, 350 ლოკაციაზე, ქართული ღვინის სარეკლამო გარე ბანერები იმ საცალო გაყიდვების ქსელების მიმდებარე ტერიტორიებზე განთავსდა, სადაც შესაძლებელია ქართული ღვინის შეძენა.

ბრიტანელი ღვინის პროფესიონალების ტური

13-17 ოქტომბერს, დიდი ბრიტანეთის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის ,,Swirl Wine Group“ ორგანიზებით, საქართველოს ბრიტანეთიდან სომელიეების, ღვინის იმპორტიორების, მედიისა და ,Swirl Wine Group-ის წარმომადგენლების 12-კაციანი ჯგუფი სტუმრობდა. ბრიტანელმა სტუმრებმა ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები და მარნები, ქართლში, იმერეთსა და რაჭაში დაათვალიერეს.
რეგიონული ტურის გარდა, ბრიტანელი ღვინის პროფესიონალებისთვის თბილისში გაიმართა სპეციალური დეგუსტაცია „Walk-around Tasting“, რომლის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმებელი 16 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინო.

ქართული ღვინის წარდგენა საფრანგეთში, გასტრონომიის ფესტივალზე

18-19 ოქტომბერს, ქართული ღვინის ბაზრების დივერსიფიცირებისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, ქართული ღვინო საფრანგეთის ღვინისა და გასტრონომიის პრესტიჟულ ფესტივალზე „Arts &Vin“ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი

კომპანიის „Le Pont Caucasien“ ორგანიზებით წარდგა. ფესტივალს, რომელიც ქალაქ ტეულ-სულ-მერში (Théoule-sur-mer) გაიმართა, ყოველწლიურად ათასობით სტუმარი, მათ შორის, ღვინის პროფესიონალები და HoReCa სექტორის წარმომადგენლები ესწრებიან.

ქართული ღვინის წარდგენა საფრანგეთში

25-27 ოქტომბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Le Pont Caucasien“ ორგანიზებით, საფრანგეთის ქალაქ ნიცაში გამართულ ღვინისა და გასტრონომიის ფესტივალზე „Salon Savim TERRAVINI” ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა. „Salon Savim TERRAVINI”-ის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ 5 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიისა და მცირე მარნის სხვადასხვა დასახელების ღვინოებს. აღნიშნული ფესტივალი ითვლება საფრანგეთის ღვინისა და გასტრონომიის ერთ-ერთ წამყვან ღონისძიებად, რომელსაც ყოველწლიურად ათი ათასობით ღვინის პროფესიონალი, HoReCa სექტორის წარმომადგენელი და მომხმარებელი სტუმრობს.

ქართული ღვინო ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში იყო წარმოდგენილი

23-26 ოქტომბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით და ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ჩართულობით, ქართული ღვინის მწარმოებელი ხუთი კომპანია ფინეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ჰელსინკში ღვინისა და საკვები პროდუქტების საერთაშორისო გამოფენაში „VIINI & RUOKA“ მონაწილეობდა. გამოფენა „VIINI & RUOKA“ ფინეთში მეღვინეობის სფეროში ერთ-ერთ წამყვან ღონისძიებად ითვლება, რაც ქართველი მწარმოებლებისთვის წარმოადგენს საუკეთესო შესაძლებლობას, პოტენციურ იმპორტიორებს ადგილზე გააცნონ საკუთარი პროდუქცია და ახალი სავაჭრო პარტნიორები მოიძიონ.

„Karakterre“ 2025

25 ოქტომბერს, ქართული ღვინის აშშ-ს ბაზარზე ექსპორტის ზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners” ორგანიზებით, ქალაქ ნიუ-იორკში გამართულ ღვინის საერთაშორისო ფესტივალზე „Karakterre“ რვა ქართული ღვინის მარანი იყო წარმოდგენილი. მიმდინარე წელს, ფესტივალის ერთ-ერთი სპონსორი ღვინის ეროვნული სააგენტო იყო.ფესტივალი „Karakterre“ მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ღვინის ფესტივალია, რომელიც ორგანულ, ბიოდინამიკურ და ბუნებრივი ღვინის მწარმოებლებს აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ის ყოველწლიურად იმართება ავსტრიის ისტორიულ ადგილებში და ნიუ-იორკში. წელს ფესტივალში 200-მდე ღვინის მწარმოებელი მსოფლიოს 30-მდე ქვეყნიდან მონაწილეობდა. ფესტივალის ათასობით სტუმარს შესაძლებლობა მიეცა, სხვადასხვა სტილის 15-მდე ქართული ღვინო დაეგემოვნებინა. ფესტივალის ფარგლებში, საფერავის მასტერკლასიც გაიმართა.

ქართული ღვინო გამოფენაზე „China Food and Drinks Fair“ იყო წარმოდგენილი

16-18 ოქტომბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Bogvi International Trading Company Ltd“ ორგანიზებით, ქართული ღვინის მწარმოებელი რვა კომპანიის 25-მდე სხვადასხვა სტილის ღვინო ჩინეთის საკვებისა და ღვინის საერთაშორისო გამოფენაზე „China Food and Drinks Fair“ იყო წარმოდგენილი. მიმდინარე წელს, გამოფენა ძიანგსუს პროვინციის ქალაქი ნანჯინგში გაიმართა.„China Food & Drink Fair”, რომელიც წელს 113-ედ ჩატარდა,

ერთ-ერთ ყველაზე პროფესიონალურ და გავლენიან გამოფენად ითვლება აზიაში. გამოფენას, ტრადიციულად, 300 ათასამდე ვიზიტორი ჰყავს;

ქართული ქარვისფერი ღვინო აშშ-ში გამოფენაზე „Orange Glou Fair“ იყო წარმოდგენილი

26 ოქტომბერს, აშშ-ს ბაზარზე ქართული ქარვისფერი ღვინის ცნობადობისა და პოპულარიზაციის ზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners” ორგანიზებით, ქალაქ ნიუ-იორკში გამართულ ღვინის საერთაშორისო გამოფენაზე „Orange Glou Fair“ საქართველოდან რვა მარნის 15-მდე ღვინო იყო წარმოდგენილი. ფესტივალის ერთ-ერთი სპონსორი ღვინის ეროვნული სააგენტო იყო.გამოფენაში „Orange Glou Fair“ მსოფლიოს შვიდი ქვეყანა მონაწილეობდა - საქართველო, აშშ, ავსტრია, საფრანგეთი, უნგრეთი, სლოვენია და გერმანია. 40-მდე კომპანიამ 150-მდე ღვინო წარმოადგინა.
ფესტივალის ფარგლებში, ქართული ქარვისფერის ღვინის დეგუსტაციაც გაიმართა.

ქართული ღვინის წარდგენა ვარშავაში “HoReCa” სექტორის წარმომადგენლებისთვის გაიმართა

30 ოქტომბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი პოლონური მარკეტინგული კომპანიის „People PR” ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაცია პოლონეთის დედაქალაქში გაიმართა. ღონისძიებას პროფესიონალები “HoReCa” (სასტუმრო, რესტორანი, კაფე) სექტორიდან, მათ შორის, ვარშავის მიშელინის ვარსკვლავის რესტორნებიდან და სომელიეები, ჯამში, 40 სტუმარი დაესწრო. ღონისძიება მოიცავდა სემინარს ქართული ღვინის კულტურისა და პოლონეთში ქართული ღვინის გაყიდვების ზრდის ხელშეწყობის შესახებ, დეგუსტაცია-მასტერკლასს ქართული ღვინის შეხამებაზე სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოსთან. ღონისძიების ფარგლებში, გაიმართა მცირე ფორმატის “Walk-around” დეგუსტაცია, რომელსაც ესწრებოდა პოლონეთში ქართული ღვინის ექვსი იმპორტიორი.

ქართული ქარვისფერი ღვინის პირველი ფესტივალი „Amber Georgia” ნიუ-იორკში

8 ნოემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და ასოციაციის „ბუნებრივი ღვინო“ ორგანიზებით, ქართული ქარვისფერი ღვინის პირველი ფესტივალი „Amber Georgia” აშშ-ში, ქალაქ ნიუ-იორკის ცნობილ საგამოფენო სივრცეში „Industry City“ გაიმართა. ფესტივალზე ქარვისფერი ღვინოები 30-მდე ღვინის მარანმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან წარმოადგინა. ქარვისფერი ღვინის ფესტივალის ჩატარების ინიციატივით, ღვინის ეროვნულ სააგენტოს ასოციაციამ „ბუნებრივი ღვინო“ მიმართა. ქართული ქარვისფერი ღვინო, რაც ტექნოლოგიურად ჭაჭაზე დაყენებულ ღვინოს ნიშნავს, სახელწოდებით „დურდოზე (ჭაჭა) ხანგრძლივი მაცერაციით დაყენებული ღვინო“, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) სპეციალური ღვინოების ჩამონათვალს დაემატა.

ქართული ღვინის წარდგენა კანადაში, ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ფესტივალზე გაიმართა

6-8 ნოემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით და კანადაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქალაქ მონრეალში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ფესტივალზე „La Grande Dégustation de Montréal“ ქართული ღვინო იყო წარმოდგენილი. ფესტივალი „La Grande Dégustation de Montréal“ უკვე მეთხუთმეტე წელია იმართება

და ის კვებეკის რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ღონისძიებად ითვლება, რომელსაც ყოველწლიურად 10 ათასამდე ვიზიტორი ესწრება. ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, დაეგემოვნებინათ ცხრა სახეობის ის ქართული ღვინოები, რომლებიც კვებეკისა და ონტარიოს რეგიონებში უკვე იყიდება.

„საქართველოს ღვინოები: უძველესი ფესვები, თანამედროვე არომატები“ - ქართული ღვინის დეგუსტაცია აშშ-ში

6-8 ნოემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners" ორგანიზებით, ქართული ღვინის წარდგენა აშშ-ში, ქალაქ სან-დიეგოს ფესტივალზე „San Diego Food + Wine Festival" გაიმართა. ღონისძიება მოიცავდა ქართული ღვინის პროფესიონალურ დეგუსტაციებსა და მასტერკლასს სახელწოდებით: „საქართველოს ღვინოები: უძველესი ფესვები, თანამედროვე არომატები". ჯამში, ფესტივალზე წარდგენილი იყო სხვადასხვა კომპანიის 30-მდე დასახელების ღვინო. ფესტივალი „San Diego Food + Wine Festival" ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ღონისძიებაა ღვინისა და კულინარიის სფეროში, რომელიც 2023 და 2024 წლებში გამოცემის „USA Today" მკითხველთა მიერ საუკეთესო ფესტივალად დასახელდა.

,RAW Wine NYC 2025

9-10 ნოემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 20-მდე საოჯახო მარანი აშშ-ში, ქალაქ ნიუ-იორკში გამართულ გამოფენაში ,,RAW Wine NYC" მონაწილეობდა. გამოფენაზე „RAW Wine" (The Artisan Wine Fair) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან იკრიბებიან მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიკური ღვინოების მწარმოებლები. გამოფენის „RAW Wine" ორგანიზატორია ცნობილი ღვინის მაგისტრი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონი. მიმდინარე წელს ქართული ღვინის მარნები, ასევე ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, პარიზში, შანხაიში, ტოკიოში, კოპენჰაგენსა და ვერონაში გამართულ „RAW Wine"-ის გამოფენებში მონაწილეობდნენ.

„საქართველო - პატარა ქვეყანა დიდი საგანძურით", - ქართული ღვინის წარდგენა შანხაიში გაიმართა

12-14 ნოემბერს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ შანხაიში, ღვინის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულ გამოფენაში ProWine Shanghai, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და ორგანიზებით, ქართული ღვინის მწარმოებელი 26 კომპანია მონაწილეობდა. გამოფენის ფარგლებში, ასევე ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, გაიმართა ქართულ ღვინის მასტერკლასი-დეგუსტაცია სახელწოდებით ,,Georgia – Small Country with Big Treasures" (საქართველო - პატარა ქვეყანა დიდი საგანძურით), რომელსაც ღვინის მაგისტრი ფონგი ვოკერი (Fongyee Walker) უძღვებოდა. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო ცხრა ქართული კომპანიის ღვინოები.

„Orange Wine Festival“

18 ნოემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 26 კომპანია ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გამართულ ქარვისფერი ღვინოების ფესტივალში „Orange Wine Festival“ მონაწილეობდა. „Orange Wine Festival“ 2012 წლიდან ტარდება და ყოველწლიურად იმართება ავსტრიაში, იტალიასა და სლოვენიაში. ფესტივალში საქართველოს მონაწილეობა შესაძლებლობას იძლევა, რომ ქართული ღვინო ფართო მასშტაბით წარმოჩინდეს როგორც მომხმარებლების, ისე ღვინის საერთაშორისო ექსპერტებისა და ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლების წინაშე, რაც ქართული ღვინის ბაზრების დივერსიფიკაციისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდის წინაპირობაა. წელს ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 90 მწარმოებლის 350 ღვინო მსოფლიოს 12 ქვეყნიდან.

ქართული ღვინის წარდგენა ტექსასის შტატის ფესტივალზე „Austin Food & Wine Festival“

20 ნოემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners” ორგანიზებით, ქართული ღვინის წარდგენა აშშ-ში, ტექსასის შტატის ქალაქ ოსტინში, ფესტივალზე „Austin Food & Wine Festival“ გაიმართა. ფესტივალის ერთ-ერთი პარტნიორი ღვინის ეროვნული სააგენტო იყო. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის 23 ღვინო. ფესტივალის ფარგლებში ასევე გაიმართა დეგუსტაცია-მასტერკლასი: „Georgian Wine for Everyday Drinking” (ქართული ღვინო ყოველდღიური არჩევანი). ფესტივალს „Austin Food & Wine Festival“, რომელიც 2012 წლიდან ყოველწლიურად იმართება, ტრადიციულად, მიშელინის ვარსკვლავის მქონე რესტორნების შეფ-მზარეულები, სომელიეები, ღვინის პროფესიონალები, HoReCa სექტორის წარმომადგენლები და მომხმარებლები ესწრებიან.

აშშ-ში ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ღვინის შოუმ - „V is for Vino“ ქართული ღვინის შესახებ ვრცელი სიუჟეტი მოამზადა

23 ნოემბერს გავრცელებული სიუჟეტის ხანგრძლივობა ერთ საათზე მეტია და ის „V is for Vino“-ს ყველა პლატფორმაზე - ოფიციალურ გვერდზე, სოციალური მედიის არხებზე, საკაბელო ტელეარხზე- ReachTV და ამერიკის მასშტაბით 90-ზე მეტ აეროპორტში განთავსდა. სიუჟეტში, ქართული ღვინის 8-ათასწლიან ისტორიასა და თანამედროვე ინდუსტრიასთან ერთად, მოთხრობილია საქართველოს ტრადიციებისა და კულტურის შესახებ (https://visforvino.com/georgia/). ქართული ღვინის შესახებ სიუჟეტს ასობით ათასი მაყურებელი გაეცნობა, რაც დამატებითი შესაძლებლობაა ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე ქართული ღვინის საექსპორტო პოზიციების გასამყარებლად. აშშ-ში ქართული ღვინის მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners” მხარდაჭერით, ღვინის შოუს „V is for Vino“ გადამღები ჯგუფი, მიმდინარე წლის აპრილის თვეში საქართველოში ერთი კვირა იმყოფებოდა. გადამღები ჯგუფის წევრები ღვინის მარნებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეწვივნენ.

დასავლეთ საქართველოს ღვინოებზე ამერიკულ გამომცემლობაში „The Wine Palate“ სტატია გამოქვეყნდა

სტატიის ავტორი, ამერიკელი ღვინის მაგისტრი ლისა პეროტი-ბრაუნი (Lisa Perrotti-Brown), რომელიც ღვინის ინდუსტრიაში 25 წელზე მეტია მოღვაწეობს, ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ამერიკული კომპანიის „Big Sky Ranch Inc” თანამშრომლობის ფარგლებში, დასავლეთ საქართველოს მიმდინარე წლის ოქტომბერში ეწვია. ლისა პეროტი-ბრაუნმა იმერეთსა და რაჭაში იმყოფებოდა, სადაც მრავალფეროვანი ქართული ღვინოებს და ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციებს გაეცნო. სპეციალური დეგუსტაცია გაიმართა თბილისშიც, სადაც ლისა პეროტი-ბრაუნმა სხვადასხვა ღვინის კომპანიის 50-მდე ღვინო დააგემოვნა. ლისა პეროტი-ბრაუნი სტატიაში საუბრობს დასავლეთ საქართველოში გასინჯული ღვინოებიდან შერჩეულ 10 საუკეთესო ღვინის შეფასებებზე. ონლაინ გამოცემა „The Wine Palate“ (ღვინის გემო) მოიცავს ექსპერტების მიერ შეფასებული ღვინოების მონაცემთა ბაზას მთელი მსოფლიოდან, განახლებადი მიმოხილვებით.

გასტრონომიის ფესტივალი „Salon Savim”

21-24 ნოემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Le Pont Caucasien“ მხარდაჭერით, საფრანგეთის ქალაქ მარსელში გამართულ ღვინისა და გასტრონომიის ფესტივალზე „Salon Savim” ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა. ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ 10-მდე ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიისა და მცირე მარნის სხვადასხვა დასახელების ღვინოებს. ფესტივალზე ქართული ღვინო საფრანგეთში მოღვაწე ენოლოგმა, კომპანიის „Le Pont Caucasien“ ხელმძღვანელმა ილია კახოიძემ წარადგინა.

RAW Wine Berlin 2025

30 ნოემბერს, ბერლინში, ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „RAW Wine Berlin 2025”, ღვინის ეროვნული სააგენტოს და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქვევრის ღვინის მწარმოებელი ოთხი მარანი მონაწილეობდა. „RAW Wine” ერთ-ერთი გამორჩეული საერთაშორისო გამოფენაა, სადაც მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან. ,,RAW Wine Berlin”- ზე ქართული ქვევრის ღვინის წარდგენა მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის პოპულარიზაციის, ღვინის მწარმოებლების მიერ პოტენციური იმპორტიორების მოძიებისა და ექსპორტის ზრდისთვის.

ღვინის ტური კორეის რესპუბლიკიდან

25-29 ნოემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოს კორეის რესპუბლიკიდან ღვინის პროფესიონალების ჯგუფი კორეის სომელიეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტისა და ღვინის მწერალთა კლუბის დამფუძნებლის, ჩან ჯუნ პარკის (Chan Jun Park) ხელმძღვანელობით ეწვია.

რვაკაციანი ჯგუფის შემადგენლობაში სომელიეები, იმპორტიორები და ინფლუესერები შედიოდნენ, რომელთა მხრიდან მაღალია ინტერესი მოიძიონ ახალი პარტნიორები საქართველოში, რაც მნიშვნელოვანია ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდის კუთხით.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

ტურის ფარგლებში, კორეელი ღვინის პროფესიონალები ქართული ღვინის კომპანიებსა და მარნებს კახეთში ესტუმრნენ; ადგილზე გაეცნენ ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას და ტრადიციებს; თბილისში გაიმართა რამდენიმე მწარმოებლის ღვინის დეგუსტაცია.

Salon Monte Carlo Gastronomie

28-30 ნოემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Le Pont Caucasien“ მხარდაჭერით, მონაკოში, გასტრონომიისა და ღვინის ფესტივალზე „Salon Monte Carlo Gastronomie” ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა.

ოთხდღიანი ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ ქართული ღვინის მწარმოებელი 10 კომპანიისა და მცირე მარნის სხვადასხვა დასახელების ღვინოებს. ფესტივალზე ქართული ღვინო საფრანგეთში მოღვაწე ენოლოგმა, კომპანიის „Le Pont Caucasien“ ხელმძღვანელმა ილია კახოიძემ წარადგინა.

რიგით 28-ე ფესტივალს ათასობით სტუმარი, როგორც ღვინის მომხმარებელი, ასევე კომერციული და HoReCa სექტორის წარმომადგენელი დაესწრო, რაც უმნიშვნელოვანესია ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის.

ქართული ღვინის დეგუსტაციები ნიუ-იორკში

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს პარტნიორი კომპანიის „Vinoveli Inc“-ის ორგანიზებით, ქართული ღვინის წარდგენა ნიუ-იორკის ჰარვარდის კლუბში (The Harvard Club in New York) გაიმართა. ნოემბრის თვეში, „Vinoveli Inc“-მა აღნიშნული ღონისძიებით დაიწყო სარეკლამო-მარკეტინგულ კამპანია აშშ-ში ერთ-ერთ წამყვან დისტრიბუტორ არჯუნ დევანთან (Arjun Dewan) თანამშრომლობით. კამპანიის მიზანია „Vinoveli Inc“-ის პორტ-ფოლიოში არსებული ღვინოების წარდგენა აშშ-ის ბაზარზე მომუშავე დისტრიბუტორების, საცალო ვაჭრობის წარმომადგენლების, სომელიეებისა და ჟურნალისტებისთვის, რაც მნიშვნელოვანია ქართული ღვინის ცნობადობის ასამაღლებლად. ასევე ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და „Vinoveli Inc“-ის ორგანიზებით, ქართული ღვინის შესახებ შვიდი დეგუსტაცია გაიმართა საცალო-ქსელურ სუპერმარკეტებსა და გაყიდვების ობიექტების საპრომოციო ღვინოებისთვის განკუთვნილ სივრცეში ნიუ-ჯერსსა და მასაჩუსეტში , სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი სხვადასხვა კომპანიის ღვინოები.

ქართული ღვინის დეგუსტაციები აშშ-ში

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და პარტნიორი ამერიკული კომპანიის „CORUS SYSTEMS INC.” ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაციები ნიუ-იორკისა და კონექტიკუტის შტატებში, რვა უმსხვილესი სუპერმარკეტის ქსელში გაიმართა. თითოეული ღონისძიების ფარგლებში, სუპერმარკეტებსა და გაყიდვების ობიექტების საპრომოციო ღვინოებისთვის განკუთვნილ სივრცეში, სადეგუსტაციოდ წარმოდგენილი იყო სამი სხვადასხვა კომპანიის ხუთი სახეობის ქართული ღვინო. „CORUS SYSTEMS INC.”-ის ორგანიზებით, მაისის, ივნისის, სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის

თვეებში, ქართული ღვინის 100-ზე მეტი წარდგენა გაიმართა, დეგუსტაციები გრძელდება დეკემბრის თვეშიც. მსგავსი ფორმატის ღონისძიებები ორიენტირებულია მომხმარებელზე და მიზანი ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია და გაყიდვების ზრდის ხელშეწყობაა.

ასევე ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და პარტნიორი ამერიკული კომპანიის „Saperavi Brothers" ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაციები მასაჩუსეტის შტატში, ღვინისა და პროდუქტების ქსელურ სუპერმარკეტებსა და საცალო გაყიდვების 20 ობიექტში გაიმართა. თითოეული ღონისძიების ფარგლებში, საპრომოციო ღვინოებისთვის განკუთვნილ სივრცეში, სადეგუსტაციოდ წარმოდგენილი იყო სამი სხვადასხვა კომპანიის ხუთი სახეობის ქართული ღვინო.

„ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა" ფარგლებში თანადაფინანსება ცხრა კომპანიამ მიიღო

ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის და პრიორიტეტული საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2021 წლის სექტემბერში „ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა" დაამტკიცა. პროგრამას სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციით ახორციელებს. ღვინის ეროვნული სააგენტო მარკეტინგული ხარჯების თანადაფინანსებას მხოლოდ იმ კომპანიებისთვის ახორციელებს, რომლებიც ექსპორტს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (გარდა დსთ-ს და სუამ-ის ქვეყნებისა), პრიორიტეტულ ბაზრებზე ახორციელებენ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2025 წელს, თანადაფინანსების სახით, ჯამურად, 692.969 ლარი მიიღო ქართული ღვინის მწარმოებელმა ცხრა კომპანიამ: „ჯიველი", „ვილა მოსავალი", „თელიანი ველი", „ვაზისუბნის მამული", „მეღვინეობა ჩელთი", „კახური ტრადიციული მეღვინეობა", „დუგლაძეების ღვინის კომპანია", „თიკო ისთეით" და „მეღვინეობა შუმი". პროგრამის პირობების თანახმად, აღნიშნულმა კომპანიებმა, მიზანმიმართული მარკეტინგული ღონისძიებების შედეგად, 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, ექსპორტის მოცულობა გაზარდეს ამერიკის, ევროპისა და აზიის ბაზრების მიმართულებით.

ექსპორტი

მსოფლიოს 71 ქვეყანაში ექსპორტირებულია 267,910 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 89,7 მლნ-მდე ლიტრი ღვინო (კლება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, თანხობრივად 3%, რაოდენობრივად 5%).

ღვინის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ზრდა აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: პოლონეთი – 17 მლნ აშშ დოლარი (2%), ჩინეთი – 9,8 მლნ აშშ დოლარი (6%), გერმანია – 6 მლნ აშშ დოლარი (1%), ლატვია – 4,7 მლნ აშშ დოლარი (16%), ლიეტუვა – 2,6 მლნ აშშ დოლარი (5%), კანადა – 1,3 მლნ აშშ დოლარი (24%), ისრაელი –

1,14 მლნ აშშ დოლარი (23%), იაპონია - 1,13 მლნ აშშ დოლარი (34%), საფრანგეთი - 831 ათასი აშშ დოლარი (63%) და ა.შ.

მსოფლიოს 55 ქვეყანაში ექსპორტირებულია 46,6 მლნ ლიტრი 283 მლნ აშშ დოლარამდე ღირებულების სპირტიანი სასმელები. (კლება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თანხობრივად 2%, რაოდენობრივად 15%).

ჯამურად, 2025 წელს, ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტით, ქვეყანაში შემოსავლის სახით მიღებულია 550,6 მლნ აშშ დოლარი.
1 ლიტრი ქართული ღვინის საშუალო საექსპორტო ფასი 2.91 აშშ დოლარიდან (2024 წელი) 2025 წელს 2.98 აშშ დოლარამდე გაიზარდა.

1 ლიტრი ქართული ღვინო ყველაზე მაღალ ფასად იყიდება შემდეგ სტრატეგიულ ქვეყნებში: აშშ - 6,2 აშშ დოლარი, იაპონია - 5,82 აშშ დოლარი, დიდი ბრიტანეთი 5.10 აშშ დოლარი, გერმანია - 4.66 აშშ დოლარი, ბალტიისქვეყნები - 3.68

რთველი 2025

საქართველოს მაშტაბით 730 კომპანიის მიერ გადამუშავდა 340 ათასამდე ტონა ყურძენი, რაც ბოლო 30 წლის მაქსიმალური მოსავალი 22 ათასამდე მევენახემ დააბინავა. გადამუშავებული ყურძნიდან უდიდესი წილი, 327 ათასამდე ტონა, კახეთზე მოდის, რაც ასევე რეკორდული მაჩვენებელია. რაჭაში გადამუშავებულია ასევე რეკორდული, 3 ათას ტონამდე სხვადასხვა ჯიშის ყურძენი, საიდანაც უდიდესი წილი ალექსანდროული და მუჯურეთულია.
მთავრობის გადაწყვეტილებით, წელს კახეთის რეგიონში ღვინის საწარმოებზე სუბსიდია აღარ გაიცა. ყურძნის ხარისხთან მიმართებაში ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო მიღებული ჭარბ ყურძენს სახელმწიფო საწარმო შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ ხარისხის მიხედვით დიფერენცირებულ ფასად იბარებდა: კახეთის რეგიონში მოწეული საფერავის ჯიშის ყურძენს - 1.50 ლარად, „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონით ნებადართულ სხვა საღვინე ჯიშებს - 1.20 ლარად, არაკონდიციურ და დაზიანებულ/ან დაავადებულ ყურძენს - 1.00 ლარად. ხარისხის მიხედვით ფასთა სხვაობა 2026 წელს შენარჩუნდება და კიდევ უფრო გამკაცრდება. ხარისხიანი ყურძენი, თავისთავად, ხელს უწყობს ხარისხიანი ღვინის დაყენებას, რაც ცალსახად არის გარანტი ექსპორტის კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობების, ახალი ბაზრების ათვისების და კონკურენტუნარიანობის გაზრდის.

რაჭის რეგიონში, კერძო სექტორის სტიმულირების მიზნით, სუბსიდირების პროგრამა განხორციელდა. სუბსიდიის მიმღებია ყველა ის კომპანია, რომელმაც 1 კგ ალექსანდროულისა და მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

მუჯურეთულის ჯიშის ყურძენში მევენახეს არანაკლებ 8 ლარი გადაუხადა. სახელმწიფო სუბსიდიის ოდენობა განისზღვრა 4 ლარით, როგორც 1 კგ ალექსანდროულის, ასევე, 1 კგ მუჯურეთულის ჯიშის ყურძენზე.

ღვინის ხარისხი

საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელების კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურები ქართული ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლს რეგულარულად ახორციელებენ.

2025 წელს, სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში, რაც საწარმოებში ღვინის ტექნოლოგიური პროცესის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას გულისხმობს, შემოწმებული 139 კომპანიის 703 ნიმუშიდან, დარღვევა აღმოჩენდა 9 კომპანიის 14 ნიმუშში.

საინსპექციო კონტროლი ჩატარდა 62 კომპანიაში; აღებული 1289 ნიმუშიდან, დარღვევა აღმოჩნდა 7 კომპანიის 19 ნიმუშში. სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიების შპს „ბიურო ვერიტას ჯორჯიას“ და შპს „სჯს ჯორჯიას“ მიერ შემოწმებულ 80 კომპანიში აღებული 529 ნიმუშში, დარღვევა აღმოჩნდა 3 კომპანიის 3 ნიმუშში. ინსპექტირების პროცესი სერტიფიცირებისათვის წარდგენილი ალკოჰოლიანი სასმელის ნიმუშის ლოტთან შესაბამისობის დადგენას გულისხმობს.

ამასთან ერთად, საექსპორტო ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, ჩატარდა 279 დეგუსტაცია, სულ სადეგუსტაციოდ შემოვიდა - 13 349 ნიმუში. აქედან, დეგუსტაცია ვერ გაიარა - 520 ნიმუშმა, დანარჩენი 12 829 ნიმუში შეფასდა დადებითად.

ადგილობრივი ბაზრის კონტროლი განხორციელდა 13 კომპაანიის პროდუქციაზე, აღებული ნიმუშების რაოდენობა იყო 26, რაზეც მიმდინარეობს ლაბორატორიული კვლევა.

საექსპორტო დოკუმენტაციის მისაღებად სერტიფიცირებაზე შემოვიდა - 24 538 განაცხადი. შემოსული განაცხადების საფუძველზე გაიცა სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტაცია:

- VI-1 ფორმის სერტიფიკატი - /ევროკავშირის ქვეყნებისათვის/ - 8 531 ცალი
- შესაბამისობის სერტიფიკატი - 22 525 ცალი
- სულ 2025 წელს გაიცა - 31 056 ცალი სერტიფიკატი.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

- საექსპორტო ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, ჩატარდა 279 დეგუსტაცია, სულ სადეგუსტაციოდ შემოვიდა – 13 349 ნიმუში. აქედან, დეგუსტაცია ვერ გაიარა – 520 ნიმუშმა, დანარჩენი 12 829 ნიმუში შეფასდა დადებითად.

საქართველოს მთავრობამ განიხილა და მოიწონა „ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტი“

„ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტის“ მიზანია ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების, ასევე, რეალიზაციისათვის აუცილებელი ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნათა გათვალისწინების ხელშეწყობა.

„ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტი“ დაარეგულირებს ვენახების გაშენების, პროდუქციის ეტიკეტირების, სამომხმარებლო ტარაში დაფასოებისა და აღრიცხვიანობის წესებს.

ბოლო წლების განმავლობაში, განსაკუთრებით გაზრდილია ინტერესი მევენახეობა-მეღვინეობის დარგისადმი, რაც გამოიხატება ახალი ვენახების ინტენსიურ გაშენებაში.

აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში, ვენახი გაშენებულია შესაბამისი მევენახეობის ზონების და ქვეზონებისთვის არანებადართული ჯიშებისგან ან არასერტიფიცირებულ სანერგეში გამოყვანილი ნერგებით, რაც შემდგომში იწვევს როგორც ყურძნის წარმოების/რეალიზაციის პრობლემას, ასევე, პრობლემას ქმნის ღვინის წარმოებაში.

ახალი რეგულაცია ითვალისწინებს სამეწარმეო ვენახის გაშენებაზე თანხმობას, რომელსაც სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო გასცემს.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გაიზარდა გაშენებული ვენახების რაოდენობა და შესაბამისად ყურძნის მოსავლიანობა, ცვლილების თანახმად, დაცული ადგილწარმოშობის ღვინისა და სპირტიანი სასმელის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ადგილწარმოშობის დასახელების ალკოჰოლიანი სასმელი წარმოებული უნდა იყოს მხოლოდ ამ ღვინის ან/და სპირტიანი სასმელის წარმოების სპეციფიკაციაში განსაზღვრულ მიკროზონაში მოწეული ყურძნისგან.

ცვლილება ასევე განსაზღვრავს ღვინის ყველა კომპანიისთვის მევენახეობა-მეღვინეობის პრაქტიკაში ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვა-შეტყობინების მოთხოვნების შესრულებას.

კანონპროექტი მისაღებად გადაეგზავნება საქართველოს პარლამენტს. კანონპროექტი მომზადებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

ვენახების კადასტრის პროგრამა

მევენახეობის კადასტრის სამმართველოს მიერ მიმდინარე წელს შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

კადასტრის ფუნქციონირების დაწესებული ნორმების შესაბამისად (ვენახის გაშენება ან ამოძირკვა, მევენახის ცვლილება და სხვა) უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა ვენახების შესახებ მონაცემების განახლება, სულ გაცემულია 5151 ვენახის ამონაწერი.

განხორციელდა საველე შემოწმებები საქართველოს მასშტაბით. სულ გადამოწმდა 220 მევენახის 372 ნაკვეთი.

სისტემატიურად მიმდინარეობდა განხილვები კომპანია „ABACO“-სთნ ვენახების კადასტრის მონაცემთა ბაზის სრულყოფის/ ფუნქციორების გაუმჯობესების მიმართულებით.

გადამოწმდა და დასკანერდა 2021-2022 წლებში გაცემული ვენახის ამონაწერები, ასევე შეივსო აბაკოს მონაცემთა ბაზა და ვენახების ამონაწერების საარქივო რეესტრი.

მომზადდა სატენდერო წინადადება, სადაც კონკურენციის პირობებში გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია შპს „რუკა მაპინგ“, რომელმაც შეასრულა ქედას მუნიციპალიტეტის შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულების: დაბა ქედას, სოფ. მერისის, სოფ. ოქტომბერის, სოფ. კოლოტაურის, სოფ. ზვარეს, სოფ. კვაშტას, სოფ. საბადურის და სოფ. ცხმორისის ვენახების აეროფოტოგადაღება და ორთოფოტოების დამზადება. აღნიშნული მასალა დამუშავდა და ატვირთულია სერვერზე.

შეჯამდა გასული წლის მონაცემები, რომლის საფუძველზე მომზადდა და გამოიცა 2024 წლის ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენებზე სახელწოდებით: „საქართველოს ვენახების კადასტრი, 2024 წლის ანგარიში“ (63 გვ.).

მევენახეთა ინფორმირების მიზნით, ახალი ვენახის რეგისტრაციის ან რეგისტრირებულ ვენახთან დაკავშირებული ცვლილებების განახლების მიმართულებით, მომზადდა და დაიბეჭდა საინფორმაციო აფიშები მუნიციპალიტეტებში გასავრცელებლად.

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

- **ქართული ღვინის კულტურის მეცნიერული კვლევა**

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტის“ განხორციელება დაიწყო 2014 წელს „ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაციის“ პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანი საქართველოს ღვინის კულტურის უძველეს კერად დადასტურებული ქვეყნისათვის ახალი მონაცემების შეგროვებაა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში, მევენახეობა მეღვინეობის უწყვეტი ისტორიის რეკონსტრუქცია, მევენახეობა-მეღვინეობის აგრონომიული და ენოლოგიური პოტენციალის გამოკვლევა და ქართული ღვინის პოპულარიზაციაა. ამ მიზანს ის ასრულებს მულტიდისციპლინარული კვლევების ფორმატში, რომელშიც ჩართული არიან ქართველი და მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების და სამეცნიერო ცენტრების მეცნიერები.
საანგარიშო პერიოდში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

• განხორციელდა არქეოლოგიურ კვლევები საქართველოს ეროვნული მუზეუმის მონაწილებით მარნეულის ველზე არსებულ ნეოლითური პერიოდის ძეგლზე სახელწოდებით „გადაჭრილი გორა“. პროექტის ფარგლებში შესრულდა: არქეოლოგიური გათხრები და გაწმენდითი სამუშაოების არქეოლოგიურ ძეგლის ფენებზე საერთო ფართობით 250 მ2; გამოვლენილი ალიზის ნაგებობების მომზადდება საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებისთვის; მოპოვებული არქეოლოგიური არტეფაქტების კამერალური დამუშავება; საანალიზო ნიმუშების აღება დათარიღებისათვის, ლაბორატორიული და ინტერდისციპლინალური კვლევებისათვის.

• ა(ა)იპ „კულტურული მემკვიდრეობის კვლევის საზოგადოების“ მიერ, პირველად ჩვენი პროექტის ისტორიის მანძილზე, განხორციელდა არქეოლოგიური კვლევები ადიგენის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთი) მდებარე „ირმის რქის“ მრავალფენოვან ნამოსახლზე ამ მხარის ვაზის და ღვინის ისტორიის შესწავლისათვის - აღნიშნულ ძეგლზე პირველი დასახლება მიეკუთვნება ადრებრინჯაოს ხანას (ძვ. წ. 3400 წ.) და არსებობდა უწყვეტად 3000 წელიწადის განმავლობაში. ერთი თვის მანძილზე განხორციელებული არქეოლოგიური კვლევის ფარგლებში გათხრილი და მოპოვებული იქნა მევენახეობა და მეღვინეობასთან დაკავშირებული თიხის ნაწარმი და მათი ძირები შემდგომში ბიო-მოლეკულური არქეოლოგიის მეთოდებით დამუშავებისათვის ღვინის მჟავის იდენტიფიცირების მიზნით; არქეობოტანიკური და პალეობოტანიკური მასალა ლაბორატორიული მეთოდებით შესწავლისათვის და რადიოკარბონული მეთოდებით დათარიღებისათვის; მოპოვებული არტეფაქტების ფოტო-დოკუმენტირება და კატალოგის მომზადება ღვინის ეროვნული სააგენტოსათვის წარმოდგენილი ანგარიშისთვის.

• საქართველოს ეროვნული მუზეუმის მკვლევართა ჯგუფის მიერ განხორციელდა არქეობოტანიკური და პალინოლოგიური მიმართულების ლაბორატორიული კვლევები „შულავერის კულტურის“ (ძვ. წ. მე-6 ათასწლეული) არქეოლოგიური ძეგლებიდან აღებულ მასალაზე: 1) ძეგლიდან სახელწოდებით „გადაჭრილი გორა“ ეროვნული მუზეუმის მიერ 2025 წელს განხორციელებული გათხრებიდან; 2) ძეგლიდან სახელწოდებით „მაშავერის გორა“. კვლევები წარიმართა არქეობოტანიკოს ნანა რუსიშვილისა და პალინობიოლოგ ელისო ყვავაძის ხელმძღვანელობით. კვლევის შედეგად აღმოჩენილი იქნა: ვაზის (V. vinifera) ყვავილის მტვრის მარცვლები „გადაჭრილი გორაზე“ ბალახოვანი (ხორბალი, სხვა მარცვლოვანი კულტურები და სარეველები) და მერქნოვანი მცენარეების მტვრის მარცვლებთან ერთად, რაც იძლევა მაშინდელი კლიმატური რეალობის რეკონსტრუქციის

შესაძლებლობას; მდიდარი არქეობოტანიკური მასალა - მცენარეული თესლები (მარცვლოვანი კულტურების ჩათვლით) - ორივე ძეგლზე; ერთი ვაზის წიპწა - „მაშავერას გორაზე“.

• ვეიზმანის ინსტიტუტის (ისრაელი) რადიოკარბონულ ლაბორატორიაში C14 მეთოდით დათარიღდა ვაზის წიპწების 4 ნიმუში სამი სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლიდან, წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და კრუკოვსკის სახელობის ქართულ-პოლონური ინტერდისციპლინარული კვლევითი ცენტრის (ქუთაისი) მიერ. მათ შორის: 1) ორი ნიმუში ქუთაისის ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბოლოს პერიოდის ძეგლიდან; 1) ერთი ნიმუში ილმაზლოს (მარნეული) ადრე შუასაუკუნეების ძეგლიდან; 3) ერთი ნიმუში ქუთაისი გვიანი შუასაუკუნეების ძეგლიდან. ეს რადიოკარბონული დათარიღების შედეგები შესაძლებლობას მოგვცემს გაგრძელდეს ვაზის წიპწების მორფომეტრული და დნმ -ის კვლევები.

• პენსილვანიის (აშშ) უნივერსიტეტის მუზეუმის პროფესორმა პატრიკ მაკგოვერნმა შეასრულა კვლევები ორგანული მჟავების დაგროვების, მათი რაოდენობრივი და თვისობრივი გარდაქმნების საკითხებზე საქართველოს ველურ (ტყის) ვაზსა და კულიტივრებული ვაზის ჯიშებში კორნელის უნივერსიტეტის Cornell Craft Beverage ანალიტიკურ ლაბორატორიაში (CCBAL) (ჟენევა, ნიუ იორკი). სულ შესწავლილი იქნა 179 ნიმუში, რასაც მოჰყვა მიღებული შედეგების განზოგადება და მეცნიერული ინტერპრეტაცია, რაც იძლევა პუბლიკაციის მომზადების საშუალებას სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნების მიზნით.

• კონელიანოს მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევით ცენტრში (იტალია) შესრულდა საქართველოში არსებული ვაზის 8 იშვიათი ჯიშის მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით შესწავლა მათი იდენტიფიკაციის მიზნით ამ ინსტიტუტის მონაცემთა ბაზებთან შედარების გზით. ღვინის ეროვნული სააგენტოსათვის მოწოდებული შედეგები გამოყენებული იქნება ამ ჯიშების დახასიათებისა და მათი დაცვის სტრატეგიის განსაზღვრისათვის.

• მილანის უნივერსიტეტის (იტალია) მკვლევარმა გაბრიელა დე ლორენცისმა შეასრულა ჩვენი პროექტის მიერ შეკრებილი და მინდვრის კოლექციაში დაცული ველური ვაზის 23 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა მოლეკულური მარკერების (18k SNPs) საშულებით და შემდეგ ქართული ველური ვაზის შედარება ხმელთაშუაზღვის აუზის ველურ ვაზის 112 ნიმუშთან. მიღებულ შედეგების გამოყენებით მომზადებული იქნა სამეცნიერო სტატია სათაურით „Unveiling the genetic uniqueness of Georgian wild 1 grapevine germplasm within the Mediterranean context“ და გამოსაქვეყნებლად გადაცემული იქნა მევენახეობა-მეღვინეობის დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალში OenoOne გამოსაქვეყნებლად.

• მილანის უნივერსიტეტის (იტალია) მკვლევარმა გაბრიელე კოლამ ქართველ მკვლევარებთან თანამშრომლობის ფარგლებში შეასრულა მონაცემების შეკრება და კვლევების განხორციელება საქართველოს მევენახეობის აგროკლიმატოლოგიაში. კვლევა წარიმართა შემდგომი მიმართულებებით: 1) გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული 2014-2024 წლების მეტეოროლოგიური მონაცემების დამუშავება, მათი გაერთიანება 1974-2013 წლების მონაცემთა საწყის ნაკრებთან და საბოლოოდ 1974-2024 წლების მონაცემთა ნაკრების მისაღებად. ამის შემდეგ კი ტემპერატურისა და ნალექების მეტეოროლოგიური მონაცემების ტენდენციისა და წყვეტილობის ანალიზი ქართული მევენახეობის ამჟამინდელი აგროკლიმატური მდგომარეობის დასახასიათებლად.

• სალენტოს უნივერსიტეტის (იტალია) პროფესორმა ლაურა რუსტიონიმ (Laura Rustioni) განახორციელა საკონსულტაციო მომსახურების გაწევა იტალიელი (სალენტოს უნივერსიტეტი) და

ქართული (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი) მკვლევართა ჯგუფებისადმი შემედგი მამართულებებით: 1) ვაზის გამრავლების მეთოდების თავისებურებების კვლევა ევროპული ვაზის (Vitis vinifera L.) დომესტიკაციის პროცესში ქართული ვაზების მაგალითზე და დაკვირვების ორგანიზება ვაზის ქართული ჯიშების ფენოლოგიურ ფაზებზე განსხვავებულ კლიმატურ რეალობაში - იტალიაში და საქართველოში - როგორც კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის ერთ-ერთ ნიშანზე. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესრულებული სტატია Differences in rooting ability between wild and cultivated Vitis vinifera გამოქვეყნებულ იქნა მევენახეობა-მეღვინეობის დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალში OenoOne და წარდგენილი იქნა GiESCO მევენახეთა საერთაშორისო კონფერენციაზე 2025 წლის ივლისში.

- მილანის უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის პროფესორი ოსვალდო ფაილა გვიწევდა კონსულტაციას წერილობითი ფორმით მევენახეობისა და მეღვინეობის ზოგად და საქართველოსათვის აქტუალურ საკითხებზე, რომელიც მოიცავდა აგრომეტეოროლოგიას; მევენახეობის ლანდშაფტის და ნიადაგის შესწავლას; ვაზის ჯიშების აგრარულ (მათ შორის დაავადებათა მიმართ სკრინინგს) და ღვინოების ენოლოგიურ, კულტურულ და სავაჭრო მახასიათებლებს; ვაზის ქართული გენოფონდის (მათ შორის ველური ვაზის) კვლევას მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით.

- პროექტის მიერ დაწესებული სერიის „ქართული ვაზი და ღვინო: ლიტერატურული მემკვიდრეობის“ გამოცემულ იქნა ორი წიგნი:

გვენცაძე ლუკა და მიროტაძე ალექსანდრე (2025). რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის რაიონები. თბილისი. ღვინის ეროვნული სააგენტოს გამოცემა. 116 გვ.“

ნაკაშიძე ე. და ვაწაძე ი. (2025). მევენახეობა და მეღვინეობა იმერეთში მეცხრამეტე საუკუნეში. ღვინის ეროვნული სააგენტოს გამოცემა. 87 გვ.

წიგნები განკუთვნილია დარგის პროფესიონალებისათვის, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

ქართული ღვინის ადგილწარმოშობების სისტემის განვითარება

საქართველოში რეგისტრირებულ დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს „ლეჩხუმი“, „რაჭა“ და „საზანოს ოცხანური“ დაემატა

ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების რაოდენობა 33-მდე გაიზარდა, რაც ქართული ღვინის მრავალფეროვნებაზე მიუთითებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდისთვის. საქართველოში დარეგისტრირებულია დაცული ადგილწარმოშობის დასახელების

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge

ღვინოებია: ქინძმარაული, მანავი, კახეთი, ნაფარეული, თელიანი, მუკუზანი, წინანდალი, ახაშენი, გურჯაანი, ხვანჭკარა, ატენი, სვირი, ვაზისუბანი, კარდენახი, ტიბაანი, ტვიში, ყვარელი, კოტეხი, ხაშმის საფერავი, ბოლნისი, სალხინოს ოჯალეში, ახმეტა, წარაფი, ახოები, მაღრაანის ქისი, ოყურეშის უსახელოური, ზეგაანი, ასურეთული შალა, ოკამი, ობჩა, ლეჩხუმი და რაჭა. აღნიშნული ღვინოების წარმოების სპეციფიკაციის მომზადებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ სხვა ტექნიკურ საკითხებში ღვინის ეროვნული სააგენტო „ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების სისტემის განვითარებისა და ქართული ღვინის აღნიშვნების დაცვის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში მონაწილეობდა.

სხვა ღონისძიებები

WWTG

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში, 20-21 მარტს გამართულ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) ყოველწლიურ შეხვედრაზე განხილული იყო ღვინით ვაჭრობის რეგულაციების და ელექტრონული სერტიფიცირების საკითხები. მონაწილეებმა იმსჯელეს WWTG-ის როლზე უალკოჰოლო და დაბალალკოჰოლიანი სასმელების ვაჭრობის ხელშეწყობაში, მათ შორის, ევროკავშირის ბაზარზე ღვინის ეტიკეტირების მოთხოვნებზე. შეხვედრის მუშაობაში ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა მონაწილეობდა.

ამასთან ერთად, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა 26-29 ოქტომბერს კანადაში გამართულ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდა. კანადის ქალაქ კელოვნაში გამართულ WWTG-ის წლიურ შემაჯამებელ შეხვედრაზე, მონაწილეებმა ღვინით ვაჭრობის მარეგულირებელი შეთანხმებების განახლებისა და დარგის მდგრადი განვითარების საკითხები განიხილეს.

ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფი (WWTG) ღვინის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანებაა და საქართველოსთან ერთად, მისი წევრები არიან აშშ, არგენტინა, ავსტრალია, კანადა, ჩილე, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა და ურუგვაი. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ღვინით ვაჭრობის გამარტივება, ღვინით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა და სავაჭრო ბარიერების მოხსნისთვის ერთობლივი ქმედებების განხორციელება. ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფს (WWTG) საქართველო 2014 და 2023 წლებში როტაციის პრინციპით, ერთი წლის ვადით თავმჯდომარეობდა. ორივე

შემთხვევაში, წევრი ქვეყნების მხრიდან ქართული მხარის საქმიანობა დადებითად შეფასდა. ამჟამად, WWTG-ის თავმჯდომარე ქვეყანა კანადაა.

OIV

2025 წელს საქართველომ წარადგინა განაცხადი, 2027 წელს გახდეს ვაზის და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) კონგრესის მასპინძელი ქვეყანა

> საქართველომ აღნიშნულის შესახებ განაცხადი გააკეტა 2025 წლის ივნისში მოლდოვის დედაქალაქ კიშინეუში გამართულ ვაზის და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) 46-ე მსოფლიო კონგრესზე, რომელშიც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, ლევან მეხუზლა მონაწილეობდა.

1-5 მაისს, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) გენერალურმა დირექტორმა ჯონ ბარკერმა, საქართველოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ დავით სონღულაშვილთან გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების, მსოფლიო მასშტაბით ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდის და ბაზრების დივერსიფიკაციის საკითხებზე იმსჯელეს. საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, ჯონ ბარკერი ღვინის მარნებს ქართლსა და იმერეთში ეწვია, სადაც ქართული ღვინის დამზადების ტრადიციებსა და კულტურას გაეცნო. ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) გენერალური მდივანი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურას მრავალწლოვანი კულტურების საკვლევ-სადემონსტრაციო ბაზაზე, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში იმყოფებოდა.

ღვინის ეროვნულ სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა აქტიურად შუქდება

ბეჭდურ, ელექტრონულ, სოციალურ და სატელევიზიო მედიაში:

(http://wine.gov.ge/, https://www.facebook.com/nationalwineagency/

https://www.youtube.com/channel/UC0CPwXo8f7-QA329kmicFwQ)

მარშალ გელოვანის 32, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. ,

www.wine.gov.ge, E: info@wine.gov.ge